645/
1973/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება

ოქტომბერი
№ 10 1973 წ.





გალაქტიონი მეცხვარეებთან



ჭვიში. გალაქტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჰე, მამულო!

ჰე, მამულო!
გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა
ჩვენთაგანის ვალია,
სანამ გმირმა
შენთვის სული დალია —
სთქვა: ,,სამშობლო
უპირველეს ყოვლისა!“

არ მოშიშარს
ქარისა თუ თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს
ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის
თავდადების შეგნება:
მამულს გული —
უპირველეს ყოვლისა!

მზე ჩაჰქრება
ყველა სისხლის მწოვლისა,
მზე ამოვა
ყველა დაჩაგრულისა,
წამლად იქნას
ყოველ დაჭრილ გულისა —
გამარჯვება
უპირველეს ყოვლისა!

დე, ბრწყინავდეს
დროშად თვითეულისა
საქართველოს
მკერდი ორდენოსანი,
მისი მიწა,
მისი მზე სხივოსანი,
ის გვიყვარდეს
უპირველეს ყოვლისა!



გალაკტიონი მთაწმინდაზე, 1947 წ.

გალაკტიონი

12134

# ვწერ ვინმე მესხი მელექსე

ვწერ ვინმე მესხი მელექსე
რაც კი მივლია მე გზები,
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.
იყო ნაკვეთი შაირი,
როგორც ნასროლი ისარი,
ხან სროლა ქუხილნაირი,
ხან რხევა სამაისარი.
ხან საკვნესარი დაირი,
ხან ჩანგი მოდაისარი,
ის არის სუნთქვა, ჰაერი,
მთელი სიცოცხლე ის არი!
შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი
მე, ვინმე მესხი მელექსე.



ქ. მარქსის სახ.
სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონი

# ატმის ყვავილები



რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს.
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს.
და ქარი შეხვდა ატმის ყვავილებს,
ვარდისფერ ღილებს შეატყო ჟრჟოლა,
ფრთა დაატოლა გაუშლელ ღილებს,
დაწვდა ბილილებს და აათრთოლა.
ატმის ხე იდგა თაიგულივით,
იქ მას მილევით უთრთოდა სული,
შორით მოსული გაზაფხულ სხივით
და ნამთა მძივით გარემოცული.
ატმის ხე იდგა ვით ნაზი ქალი,
ვით დედოფალი უცხო მხარეში;
სინარნარეში სწვავდა მზის ძალი.
და გრძნობათ ალი — სიმწუხარეში.
ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა,
როცა ელავდა მზით ალჭურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა
და ხშირად მწვავდა ტრფობის სურვილი.
მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.
როგორც პეპლები, მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი —
გადაცვენილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი.
ოცნებათ რიგი თვალს მიეფარა,
მტვრით გაისვარა წყალთა ლიკლიკი,
ყვავილი იგი მოკვდა და ჩქარა
წითლად დაფარა ბაღის ბილიკი.
ბაღის ბილიკზე მივდივარ და თან
გაძრცვნილ ატამთან ზღვები გროვდება,
საღამოვდება და მზის ჩასვლასთან
თანდათან მწუხრი მიახლოვდება.
მე აღარ ვდარდობ... რა მსურს, რას ველი?
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი,
მეფობს სიკვდილი — ჭკნობის მსურველი!
გაქრა სურნელი, დაჭკნა ყვავილი!

1916



ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

# ერთი სიტყვა გალაკტიონ ტაბიძეზე

უკან მოიხედავ და არც კი გჯერა: თვალის დახამხამებაში გაირბინა თორმეტმა წელიწადმა იმ დღიდან, როცა ჩვენგან მოულოდნელად წავიდა გალაკტიონ ტაბიძე, ჯერ კიდევ ჭარმაგი კაცის დაუხარჯავი ენერგიით სავსე, სწორედ მეშვიდე ათეულის უღელტეხილზე.

პოეტი გალაკტიონ ტაბიძე უკვდავია საუკუნეებში; მაგრამ იგი ფიზიკურადაც თითქოს დღემდე ცოცხალია; ათასებს და ათეულ ათასებს ახსოვთ იგი დღესაც ჩვენს ქვეყანაში, თითქოს ახლაც აგერ ჩვენს შორის დადის, მუდამ აფეთქებული, ბოლო ხანებში ჭაღარაშერეული შავი წვერ-ულვაშით, ამაყად თავშემართული, ნაძალადევად მრისხანე სახით.

გალაკტიონ ტაბიძის წასვლა იყო ქართული პოეზიის უდიდესი დანაკლისი, რაც ამ პოეზიას მეოცე საუკუნეში განუცდია დიდი ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას წასვლის შემდეგ. გალაკტიონ ტაბიძეს უყვარდა თავისი თავის წარმოდგენა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველ პოეტთა მეფედ. დიახ, იგი ჭეშმარიტად იყო ქართველ პოეტთა მეფე ჩვენს საუკუნეში; მან ჩაიბარა და სახელოვნად გააქანა წინ ქართული პოეზიის მაღალი დროშა, რომელზეც ოქროს ასოებით საუკუნოდ აწერია უკვდავი სახელები შოთა რუსთაველისა, დავით გურამიშვილისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველასი. სწორედ ღირსეული მედროშის ხელს გადმოეცა ეს ესტაფეტა.

უსაზღვროდ დიდია გალაკტიონ ტაბიძის ადგილი ქართულ პოეზიაში, ისევე როგორც მთელს ქართულ მწერლობაში, მთელს ქართულ კულტურაში; მან ქართულ პოეზიაში შეასრულა ის საპატიო როლი, რაც რუსულ პოეზიაში ალექსანდრე ბლოკმა და ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. რუსული პოეტური სკოლების, სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის მამამთავრებმა ბლოკმა და მაიაკოვსკიმ დაუდეს სათავე რუსულ ჭეშმარიტ რევოლუციურ პოეზიას.

გალაკტიონ ტაბიძე ოქტომბრის დიდ რევოლუციას შეხვდა, როგორც მეოცე საუკუნის რუსული და ევროპული მაღალი პოეზიის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი, ახალგაზრდა მაგრამ უკვე დასრულებული ხმის პოეტი. მართალია, მის შემოქმედებაში აქა-იქ გაისმოდა არსებული სინამდვილისადმი პროტესტისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ძალუმი ხმები, მაგრამ ახალგაზრდა ქართველი პოეტი იმ ხანად უფრო ერთგული იყო რუსული და ევროპული პოეზიის მაშინდელი იდეურ-ესთეტიკური მისწრაფებებისა და ტრადიციებისა, ისევე, როგორც რუსეთში ალექსანდრე ბლოკი და თვით ვლადიმერ მაიაკოვსკიც. რევოლუციამ, დიდმა ოქტომბერმა გაიწვია ისინი თავის სამსახურში, როგორც ამის გამო შესანიშნავად თქვა მაიაკოვსკიმ.

გალაკტიონ ტაბიძეს არგუნა ბედმა: „მოეტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა".

რევოლუციური პოეზიის სათავეებს ჩვენ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ვხედავთ, მას, ისევე როგორც რუსეთში, საქართველოშიც ღრმა ფესვები აქვს. მაგრამ უფრო შორს რომ აღარ წავიდეთ, გავიხსენოთ იროდიონ ევდოშვილი; ევდოშვილმა დიდი გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველ ახალგაზრდობაზე და თვით ჭაბუკ მაიაკოვსკიზედაც კი. ევდოშვილის პოეზიაზე იზრდებოდნენ ახალგაზრდა ქართველი რევოლუციონერები, რომელთაც შემდეგ უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოსა და რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში; „მეგობრებო, წინ, წინ გასწით"... მიდიოდნენ წინ. ცარიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები, მიდიოდნენ ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციისაკენ.

მაგრამ ის რევოლუციური პოეზია, მგზნებარე, ჭეშმარიტი რევოლუციური, მებრძოლი სიტყვა კიდევ მეტად აამაღლეს დიდმა ოსტატებმა ალექსანდრე ბლოკმა და ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, რომელთაც მანამდე გაიარეს რთული პოეტური წრთობის გზა, მიმართეს ჭეშმარიტი პოეზიის საჭე რევოლუციისაკენ, ისევე, როგორც რევოლუციის საჭე ჭეშმარიტი პოეზიისაკენ. გალაკტიონ ტაბიძეც, რომელმაც აგრეთვე რევოლუციამდე მიიღო მაღალი პოეტური და იდეური წრთობა, დგას ჭეშმარიტი პოეზიისა და რევოლუციის შესაყარში; გალაკტიონ ტაბიძის პოეზია რევოლუციის ჭეშმარიტი, მაღალი პოეზიაა. ამიტომ არის მეოცე საუკუნის ამ დიდი ქართველი პოეტის ღვაწლი ფასდაუდებელი ჩვენს მშობლიურ ლიტერატურაში.

მიმდინარე წელს საქართველოში, ვლადიმერ მაიაკოვსკის იუბილესთან დაკავშირებით, ჩატარდა რევოლუციური პოეზიის დღეები; ეს უძღოდა წინ გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 80 წლისთავის საიუბილეო ზეიმს, ქართული საბჭოთა პოეზიის დიდ ზეიმს. ის დღეებიც, პირველ რიგში, გალაკტიონ ტაბიძის დღეები იყო.

12-VIII-73

მაქსიმ გორკი (სურათზე — მარჯვნიდან მეოთხე) თბილისში ქართველ მწერლებთან. მეორე რიგში მარცხნიდან მეხუთე — გალაკტიონ ტაბიძე.





გალაკტიონი, მისი ძმა პროკოფი და დედა მაკრინე ადეიშვილი-ტაბიძისა.

# მოგონება გალაკტიონზე

გალაკტიონი გავიცანი 1935 წელს, არაჩვეულებრივ ვითარებაში. ქუთაისში ვსწავლობდი და რამდენიმე დღით მშობლიურ სოფელში (სამტრედიის რაიონი, სოფელი გომი) მშობლებთან ჩავედი.

ერთ დილას ჩვენს ნათესავთან, თეოფილე ანდრიაძესთან გავემგზავრე სოფელ ჭყვიშში, რომელიც გომიდან ოთხი კილომეტრითაა დაშორებული. მოკლე გზა ავირჩიე და ტყის საცალფეხო ბილიკს გავყევი. ტყე უკაცური და ჩუმი იყო. ოცნებამ გამიტაცა, როგორც ჩვევიათ 15-16 წლის ახალგაზრდებს. ისე გადავიარე ტყე, გავიარე მთისძირი და ისე შევედი ჭყვიშში, რომ ჩემი ოცნების ძაფი არ გაწყვეტილა. გონს მხოლოდ მაშინ მოვედი, როცა რიონი დავინახე. ირგვლივ სიჩუმე იყო. ჩემი ყურადღება მიიპყრო გზისპირა სასაფლაომ, სადაც ახლადშეზვინულ საფლავზე ერთი ახოვანი მამაკაცი დაღვრემილი, თავდახრილი იდგა. მას მარჯვენა ხელი გულზე მიედო და ზოგჯერ თავისებურად შეარხევდა ხოლმე ბეჭებს. მე მოჯადოებულივით გავშეშდი, თვალს არ ვაშორებდი ამ არაჩვეულებრივ ადამიანს... უცებ ის ადგილიდან მოწყდა, საფლავს ირგვლივ შემოუარა, მიმოფანტული ყვავილები აკრიფა, გაბერტყა და საფლავზე სათუთად დაალაგა, მერე გასწორდა, თვალებთან ცხვირსახოცი მიიტანა და ბოლთის ცემა დაიწყო. ხელებს ხან უკან დაიწყობდა, ხან ჩამოუშვებდა, თითებს მღელვარედ ათამაშებდა; უცებ თავი ასწია, გამოიხედა, დამინახა და ჩემკენ წამოვიდა. ო, რა დიდებული სანახავი იყო იგი: ბრგე, ასე ორმოცი წლის ვაჟკაცი. ლამაზ სახეს მაღალი შუბლი უმშვენებდა. ის ჩემთან მოვიდა. მე ქურდობაზე წასწრებული ბავშვივით შემრცხვა, სახეზე ალმური მომედო. მან ცრემლით სავსე, უსაზღეროდ კეთილი თვალები მომაპყრო და, ჩემდა განსაცვიფრებლად მკითხა:

— ქალიშვილო, თქვენ დედა გყავთ?

— დიახ, მყავს, — მივუგე მე უხერხულად.

— მეც მყავდა დედა, — მითხრა მან, მერე უცებ თავი ასწია, ეტყობოდა, დაავიწყდა, რომ მის წინ ადამიანი დგას, და თითქოს თავისთვის განაგრძო: — დედა და მერე როგორი! ტკბილი და საყვარელი. ჩემი ერთადერთი შიში დედის სიკვდილის შიში იყო, ჰოდა... — უცებ შეჩერდა, ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა, მერე მწარედ გაიღიმა და კვლავ შემომხედა: — დედათქვენიც კარგი იქნება, გოგონა, დედები ხომ საერთოდ კარგები არიან. ძალიან გიყვართ ხომ?

— ძალიან. — ძლივს ამოვილუღლუღე, რადგან ამ შესანიშნავი ვაჟკაცის ცრემლებმა გული ამიჩუყეს.

— მაშ რად გიკვირთ ჩემი მწუხარება!

მე უხერხულობა ვიგრძენი, ბოდიში მოვუხადე და გზა განვაგრძე. როცა ნათესავებს ვუამბე ეს შემთხვევა, ერთხმად წამოიძახეს, — გალაკტიონს შეხვედრიხარო. მერე მიამბეს: — დედამისი, საბრალო მაკრინე, ორი დღის წინათ დავასაფლავეთ, მართლაც ჩინებული ადამიანი იყო, მთელი სოფლის თვალი, ყველას პატივისმცემელი, კერვაც იცოდა, წამლების შემზადებაც, გარეგნულადაც მშვენიერი იყო: მაღალი ტანის, ლამაზი სახის, ჩინებულად უკრავდა და ამღერებდა ჩონგურზე.

გალაკტიონს უსაზღვროდ უყვარდა დედა. დედის დიდი დამჯერი იყო და მეტად ერიდებოდა მისი. როცა ჩამოვიდოდა თბილისიდან, დედისათვის ყველაფერი ჩამოჰქონდა. ბავშვივით ჰკოცნიდა და ეფერებოდა. დედის ავადმყოფობის დროს ჩამოვიდა თბილისიდან და სასთუმალთან უჯდა, წუთითაც არ შორდებოდა. როცა მაკრინე გარდაიცვალა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მარტო ვერ ვტოვებდით, მორიდებით ვანუგეშებდით. დაკრძალვის დროს ლექსი წაუკითხა:

— დედა, შენ მუდამ გიკითხავდი ჩემს ლექსებს, გიხაროდა და მოგწონდა, ახლაც მოისმინე და მითხარი, მოგწონს თუ არა...

— გულის მომკვლელი ქვითინი აუტყდა. დიდხანს ვერ შესძლო ლექსის წაკითხვა. მერე ძლივს ამოილაპარაკა:

„...წუხელ დედიკო...<br>
სევდიანი და შუქმონავარდე<br>
ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე,<br>
ბევრი ვიტირე, ბევრი ვიდარდე,<br>
ბევრი მწუხარე ცრემლი დავღვარე“

ორი დღეა, რაც დედამისი დავასაფლავეთ. განთიადზე ადგება, დედის საფლავს დაადგება თავზე და არ შორდება, ზოგჯერ იქვე ჩამოჯდება და რაღაცას წერს...

ამ დროს უკვე გახლდით გალაკტიონის თაყვანისმცემელი, ბევრი მისი ლექსი ზეპირადაც ვიცოდი. მისი შემოქმედებით მოხიბლულს, მხოლოდ ოცნებაში თუ წარმომედგინა გალაკტიონის ნახვა. და ეს ოცნება თუ ასე მოულოდნელად და ასეთ ვითარებაში ამიხდებოდა, როგორ მეგონა! სიხარულისაგან მიწას ფეხს არ ვაკარებდი, თავი მეშვიდე ცაზე წარმომედგინა. სულ თვალწინ მედგა მისი კეთილშობილური, მშვენიერი სახე, სათნო, ცრემლებით სავსე თვალები და ნაღველნარევი ღიმილი.

გავიდა დრო. ბევრი რამ შეიცვალა, როგორც საერთოდ, ისე ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ გალაკტიონი და მასთან ეს პირველი შეხვედრა არასოდეს მავიწყდებოდა.

**ფატი ნიშნიანიძე**



გალაკტიონი და ვაჟა-ფშაველას მეუღლე თამარი

## გალაკტიონის გახსენება

*„წყალტუბოდან ქუთაისში*
*მიმავალო ქარო“...*

მე შენს ნაკვალევს, დავალ, დავეძებ,
რიდით შევაღე ყველგან კარები.
რომელ კუთხეში, რომელ სკამძელზე
იჯექ და სალამს ქარს აბარებდი?

იქნება ცრემლიც აგორდა თვალზე,
მე ეს არ ვიცი, არა, არ ვიცი,
ვიცი, გისმენდა გრძნობებით სავსე
შენი წყალტუბო და ქუთაისი.

ამ გზებს სხვა ჰანგიც შემორჩა იქნებ?
და მინდა, მინდა ქარს დავაბარო:
„მოძებნე მისი მალული ფიქრი
და ჩამჩურჩულე წყალტუბოს ქარო!.“

თვალს ვერ ვაცილებ გარანდულ ქუჩებს,
დავალ, სკამძელებს თვალს ვერ ვაცილებ...
იქნება სადმე წავაწყდე უცებ,
აქ დატოვებულ შენს სიყმაწვილეს?

მომნატრებია ღმერთების ღირსი
ჰანგი... ვედრებით გული აივსო:
მასმინე კიდევ სიმღერა მისი,
ო, ქუთაისო, ო, ქუთაისო!

მარიკა ბარათაშვილი



გალაქტიონი (მარჯვნივ) და იოსებ იმედაშვილი

## მას ეფერება აკაკის ლანდი

როცა სტრიქონში გავმართე მკლავი
და ამიფრინდა ოცნება ლურჯად,
მოკრძალებული,
დღისით თუ ღამით,
ამოვივლიდი აკაკის ქუჩას.
მარხევდა ლექსის
პირველი მწუხრი,
ჰაღარა ბულბულს ვხედავდი თითქოს,
და მინათებდა მაღალი შუბლი,
თეთრი წვერების
ნეტარი სითბო.
გულს მედებოდა ნათელას ალი,
თორნიკეს ხმალის გამონაშუქი
ღელავდა ქუჩა —
არაგვის წყალი,
მე — შიგ მცურავი ბაში-აჩუკი...
ის სიცოცხლეში შემკული დაფნით,
მარადიული დიდების ღირსი,
ნეტავ სად არის,
ნეტავ სად გაქრა,
აქ წარწერილი სახელი მისი?
გაფრინდა, გაჰყვა თვალუწვდენ მამულს,
ბევრის მნახველი
და ბევრის მომსწრე,
მიაყურებდა ტალღების თქარუნს
და დაეფარა გადაშლილ პროსპექტს.
გაფრინდა,
დასთმო პატარა ქუჩა
და მიატოვა უკვდავებაში,
ალბათ არ ეყო
მანძილი, სუნთქვა,
შეცურდა ვითარც მდინარე ზღვაში,
მაგრამ არც მხედარს შეაგვიანდა,
აქ ისწრაფოდა
ჰენებ-ჰენებით,
და ამ ქუჩაზე შემოგრიალდა
გალაკტიონი ლურჯა ცხენებით.
აქ შეეფარა აკაკის ჩრდილში,
გაანდო თვისი
წვა და ნაღველი,
გაუხარია მშობლიურ თბილისს,
შემატებია ერთი სახელი.
დღეს ამ ქუჩაზე
მრავალი დადის,
მე კი ყოველთვის ერთ რამეს ვხედავ,
ვით ეფერება აკაკის ლანდი
ლურჯა ცხენების
გაფრენილ მხედარს...

ოთარ მამფორია

## გალაკტიონისადმი

არ გაქცეულხარ,
მაგრამ ლტოლვილის
ბედი გტკიოდა,
როგორც ჭრილობა...
და ანათებდა სული თოვლივით
შენი სიცოცხლის რილო-ჭრილოდან.
ასე სათუთი,
ასე მორჭმული,
გაბრუებული ყინვით და ალხით,
იყავი მუდამ გარშემორტყმული
მოსიყვარულე გულების ალყით.
წამსკდარი თქეში,
წამსკდარი თქეში
სტკიოდათ თვალებს
ფოთლების ცვენად!..
იდექი ეჭვის
და რწმენის წრეში
ორივე გზრდიდა —
ეჭვიც და რწმენაც.
მზეს მიჰყიოდა,
მზეს მიჰყიოდა
სულის ექსტაზი და აგონია...
და დიდი ნიჭის წმინდა მირონი
რიტმად ნათლავდა ვნების ფორიაქს,
რიტმად ნათლავდა სიმღერას, სიცილს,
ფერთა ტირილს და ფერთა გალობას,
წარსულის ძილს და დღეისის ღვიძილს,
წარმავალობას,
წარუვალობას.
იფეთქა
შენმა ნახნავ-ნათესმა,
იმრავლა
შენმა სათიბ-სამკალმა.
და პოეზიის
ცისფერ ნათელში
მიაბიჯებდი მარტოკაკალა.
მიაბიჯებდი საკუთარ მზეში,
მიაბიჯებდი საკუთარ ჩრდილში...
და შეგვრჩი სულად,
და რწმენად შეგვრჩი
შენ —
წარამარა ხსენების ღირსი.
შენ ჩვენო ბანგო
და ჟრუანტელო,
ვინ არ შეგკადრა თანატოლობა...
ეს საუკუნე
და საქართველო
შენი ლექსების საბატონოა.

ტაგუ მებურიშვილი

# ფეიქრები წელში იმართებიან

ფოტო გ. კუჭულავახი

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი საფეიქრო მრეწველობის ყველაზე დიდი საწარმოა რესპუბლიკაში. წლების მანძილზე იგი გეგმებს ვერ ასრულებდა და უკან ეწეოდა საფეიქრო მრეწველობას. საილუსტრაციოდ გასული წელიც კმარა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 57.013 ათასი მანეთისა, რეალიზებული იქნა 48.781 ათასი მანეთის პროდუქცია. ხუთწლედის მეორე წელი კომბინატს 309 ათასი მანეთის მოგებით უნდა დაემთავრებინა, ფაქტიურად ზარალმა 758 ათასი მანეთი შეადგინა. რით აიხსნება გორელი ფეიქრების ასეთი არასტაბილური მუშაობა? მიზეზი ბევრია, მაგრამ უპირველესი შრომის ცუდი ორგანიზაცია, შრომის დაბალი დისციპლინა და კადრებთან მუშაობის შესუსტებაა, რასაც შედეგად მოსდევს მუშახელის დიდი დენადობა. გასულ წელს კომბინატის ყოველმა მეორე მუშა-მოსამსახურემ შეიცვალა სამუშაო ადგილი. სამუშაოზე მიიღეს 1.744, ხოლო გაათავისუფლეს 1.669 კაცი; 68 პროცენტმა თვითნებურად მიატოვა სამუშაო. უმიზეზოდ გაცდენების გამო დაიკარგა 25.003 კაცდღე. ასევე დიდი იყო მოწყობილობა-დანადგარების მოცდენა. გეგმიურთან შედარებით იგი გაიზარდა — ქსოვაში თითქმის ექვსჯერ, რთვაში — ორჯერ და მეტად. კომბინატში ყოველდღიურად საშუალოდ ცდებოდა 288 საქსოვი დაზგა და 18 სართავი მანქანა. შრომის ასეთი დაბალი ორგანიზაცია და არითმია იწვევდა შეფერხებებსა და წუნს. მარტო ქსოვილის მიუწოდებლობის გამო გადახდილია 866 ათასი მანეთი ჯარიმა.

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით: შეიცვალა დაზგების ნაწილი, დამონტაჟდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 160 მაღალმწარმოებლური მოწყობილობა, მაგრამ ამანაც ვერ უზრუნველყო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. გაიზარდა ძირითადი ფონდების ღირებულება, ხოლო წარმოებული პროდუქციის მოცულობა თითქმის იგივე დარჩა, ყოველივე ამას შედეგად ის მოყვა, რომ ძირითადი ფონდების თვითოეულ მანეთზე შემოსავალი 1971 წელთან შედარებით 46 კაპიკით შემცირდა.

კომბინატის ბედით შეშფოთებული იყო ყველა. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ კომბინატის ყოფილ ხელმძღვანელობას აღებული ჰქონდა არასწორი სამეურნეო კურსი. მთელი მათი მეცადინეობა მიმართული იყო მხოლოდ იქითკენ, რომ დაესაბუთებინათ დაშვებული გეგმების არარეალობა და როგორმე მიეღწიათ მისი კორექტირებისათვის. მჭიდრო კონტაქტი არ იყო დამყარებული ხელმძღვანელობასა და რიგით ადამიანებს შორის, ვერ აანალიზებდნენ ჩამორჩენის მიზეზებს და არ სახავდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად. ამან უკიდურესად დააქვეითა შრომის დისციპლინა წარმოების ყველა რგოლში და რაც ყველაზე სავალალოა, კოლექტივი შეურიგდა თავის ბედს — დიდად აღარ აწუხებდა გეგმების შეუსრულებლობა, ჩამორჩენა. დაიკარგა საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, თვითკრიტიკისა და კონტროლის უნარი, დაქვეითდა შრომის ნაყოფიერება. ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ასეთი დაბალი დონე თავისთავად გავლენას ახდენდა მატერიალური წახალისების ფონდების შექმნაზე, ხოლო ხელფასი კი, ძირითადად, იგივე რჩებოდა.

მდგომარეობა საგანგაშო შეიქმნა. ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა — ამას ფიქრობდნენ კადრის მუშები, კომუნისტები. ასე ფიქრობდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტშიც. კომბინატის საკითხი ბევრჯერ განიხილა პარტიის საქალაქო კომიტეტმა, ხოლო შემდეგ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. მიმდინარე წელს კომბინატის ადმინისტრაციის, პარტიული კომიტეტის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქალაქო კომიტეტის და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გატარებული იქნა მრავალი ღონისძიება არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მიუხედავად იმისა, რომ კომბინატი თავისი არსებობის ორ ათეულ წელს ითვლის, მოწყობილობათა დიდი ნაწილი მოძველდა. ცხადია, ამის შედეგად დაზგების წარმადობა ძალზე დაბალია. აუცილებელი შეიქნა დაზგების პარკის განახლება. მიმდინარე წელს საქსოვ ფაბრიკაში უკვე დამონტაჟდა 200 ახალი პნევმატიკური საქსოვი დაზგა. ახალი ტექნიკა თავის სიტყვას ამბობს: მაღლდება ხამი ქსოვილის ხარისხი, გამოთავისუფლდა მუშების ნაწილი და გაუმჯობესდა შრომის პირობები. ამავე წარმოების საწუნმდებლო საამქროში შეიცვალა საზომ-საკეცი მანქანები. მარტო ამ ღონისძიების შედეგად გამოთავისუფლდა 22 კაცი და ეკონომიურმა ეფექტმა შეადგინა 46,7 ათასი მანეთი. მიმდინარეობს სართავ-საგრეხი მანქანების შეცვლა № 1 სართავ ფაბრიკაში. მთავარი მაინც ეს არ არის. ვერავითარი ტექნიკური პროგრესი და მაღალმწარმოებლური მანქანები ვერ გადაჭრიან საკითხს დადებითად, თუ ადამიანები არ დაირაზმნენ ახალი ზღუდეების ასაღებად, თუ არ იქნა შრომის მაღალი დისციპლინა, შრომის სწორი ორგანიზაცია და სურვილი — ასახელო მშობლიური საწარმო, გაუფრთხილდე გორული ქსოვილის ღირსებას...

რამდენიმე თვის წინ მოვიდა კომბინატში ახალი დირექტორი გ. შარიქაძე. ხელმძღვანელობის შეცვლა დაემთხვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებულ ახალ კურსს. ეს იყო შემობრუნების მომენტი ფეიქრების ცხოვრებაში. ყველას უნდა ეგრძნო თავისი ადგილი წარმოებაში, ყველას უნდა ეგო პასუხი მინდობილი საქმისათვის. სხვანაირად არც შეიძლებოდა. შრომის სწორ ორგანიზაციას და პასუხისმგებლობის გაძლიერებას კი ყოველთვის დადებითი შედეგი მოაქვს. ასეც მოხდა — ფეიქრებმა თავი დააღწიეს ჩამორჩენას, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი აღმავლობით დაიწყო.

1973 წლის 4 თვეში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალიზაციის მოცულობა გაზრდილია 1.750 ათასი მანეთით, ეს მთელი 8 პროცენტია. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 145,7 ტონა ნართი, 1.295 ათა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

სი მეტრი ხამი ქსოვილი და 971 ათასი მეტრი მზა ქსოვილი. შრომის ნაყოფიერების დავალება შესრულებულია 100,7 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 2,3 პროცენტით. გამომუშავების ნორმების შესრულებამ შეადგინა 119,3 პროცენტი. იკლო მანქანა-დანადგართა მოცდენამ, რეკლამაციების რიცხვი შემცირდა 6 ერთეულით, ხოლო ჯარიმების თანხა — ორჯერ. გაწეულია ნედლეულის ეკონომია. დაიზოგა ტონობით ბამბა, ნართი და სხვა დამხმარე მასალები. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 50 ათასი მანეთით. ნაცვლად 299 ათასი მანეთისა, მიღებულია 375 ათასი მანეთი მოგება. დანახარჯებმა ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე შეადგინა 98,54 კაპიკი...

ჩანს შესაძლებელი ყოფილა მუშაობა!

ახლა ბევრს ფიქრობენ, უფრო უკეთესად როგორ მოაწყონ კომბინატში შრომის ორგანიზაცია, ბევრს ფიქრობენ მრთველებზე, მქსოველებზე, რიგით ადამიანებზე, რომელთაც ეკუთვნით გადამწყვეტი სიტყვა, ბევრს ფიქრობენ მათს შრომით და საყოფაცხოვრებო პირობებზე.

კომბინატი მარტო ჩვენი ქალაქის კი არა, რესპუბლიკის სიამაყეა. დიდი ხანია ვიცნობ მის გამრჯე კოლექტივს, კადრის მუშებს, კომუნისტებს, რომელთაც პირველი ბარი დაარტყეს სოფელ ტინისხიდის ჰალებსა და ვენახებში. აქ დაირწა მათი შრომითი საქმიანობის აკვანი და უმრავლესობას ვერც წარმოუდგენია ცხოვრება ამ მოგუგუნე დაზგების გარეშე. და მაინც ზოგიერთმა მიატოვა სამუშაო: ერთნი უყურადღებობას ჩივიან, მეორენი უბინაობას, მაგრამ არც ერთნი არიან მართალნი და არც მეორენი! ვის ეკუთვნის კომბინატის დასახლება თუ არა მუშებს! მათ ხომ ყველაზე კარგად იციან შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, როგორი იყო წინათ და როგორია ახლა. ბინები კვლავ შეუწყვეტლივ შენდება და მომავალშიც აშენდება. მოავარი ეს კი არ არის, მთავარი ის არის, რომ ვინც კომბინატში დავაჟკაცდა, ცხოვრების საგზური მიიღო, ერგო ყველა სიკეთე, კეთილმოწყობილი ბინა, ახლა გაურბის კოლექტივს... საბედნიეროდ ასეთები თითებზე ჩამოითვლება. სხვაგვარად ფიქრობენ ისინი, რომელთაც კომბინატის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება. აი ერთი მათგანი, კადრის მუშა, ქვეოსტატი კომუნისტი კარლო ბესტავაშვილი. კარლოც და მისი მეუღლეც წლების მანძილზე კომბინატში მუშაობენ. ქვეოსტატი საუბარში გამომიტყდა: „ყოველ დილით ვშიშობ, დირექტორმა არ მიმასწროს სამუშაოზეო"... და განა მარტო დირექტორის? პარტიის საქალაქო კომიტეტის და საქალაქო საბჭოს აღმასკომის უპირველესი ზრუნვის საგანია ბამბეულის ქსოვილების კომბინატი. მათზე უკეთ არავინ იცის ფიქრების ლხინი და გასაჭირი: პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი კ. ქრისტესიაშვილი და აღმასკომის თავმჯდომარე


მხვეველი ქეთინო ბადაშვილი


მქსოველი მაყვალა გიორგაძე


წუნმდებელი ნელი განჯელაშვილი



ფეიქრების კულტურული დასვენების საკითხიც. ბევრჯერ ითქვა კულტურის სასახლის მშენებლობაზე. სასახლეს [illegible]ბოთ, ერთი რიგიანი სახლი მაინც იყოს. სცოდავენ საზკვების მუშაკებიც, თუმცა მათაც ცუდად ამარაგებენ პროდუქტებით. ყოველივე ამას თან ერთვის ის გარემოებაც, რომ ყველა ცვლა და ფაბრიკა არ მუშაობს გამართულად, ყველა როდი გრძნობს პასუხისმგებლობას და ცხოვრების ახალ მაჯისცემას. ბევრის გაკეთება მართებს საფაბრიკო კომიტეტს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის და საჯაროობის პოპულარიზაციისათვის. შრომის ავანგარდში კი კომუნისტები უნდა იყვნენ. ახლა კომბინატში 1.000-ზე მეტი კომუნისტია, ეს დიდი ძალაა, რომელსაც შეუძლია საბოლოოდ გადაჭრას საფეიქრო გიგანტის რენტაბელურად მუშაობის საკითხი.

შრომის ეს პათოსი და აღმავლობა კვლავაც უნდა გაძლიერდეს. ხუთწლედის მესამე წელი გადამწყვეტი წელია, გორელმა ფეიქრებმა მხოლოდ გამარჯვებები უნდა უპატაკონ სამშობლოს.

ბეგლარ ნოზაძე

მრთველი თინა ხუციშვილი

მოწინავე მუშა ნათელა დონდუაშვილი

ე. ბუთხუზი წლების განმავლობაში მუშაობდნენ აქ პარტიული კომიტეტის მდივნად.

ყველაფერი კეთდება ამ დიდი კოლექტივის სასიკეთოდ. ბოლოსდაბოლოს, მოგვარდა მეორე ცვლაში მომუშავე მუშების ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი. თუ წინათ მუშა იძულებული იყო 20-30 წუთით ადრე გაეჩერებინა დაზგა, რათა ავტობუსისათვის მიესწრო, რომელიც ან გამოჩნდებოდა, ან-არა, ახლა მუშების განკარგულებაშია ტრანსპორტი. ტროლეიბუსიც შეემატა საზოგადოებრივ ტრანსპორტს.

ფეიქრებზე ზრუნავს პარტიის რაიკომიც. სხვანაირად წარმოუდგენელია — კომბინატი ჩვენი სიამაყეა. კომბინატის ტერიტორიაზე ხშირად იყიდება რაიონში მოწეული ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქტები, რაიკომი ზრუნავს კომბინატის კადრებით დაკომპლექტებისათვის. ასეთმა ზრუნვამ, შრომის დისციპლინის განმტკიცებამ, კოლექტივის წარმატებებმა ბევრი დააფიქრა, ვინც იჩქარა და მიატოვა საწარმო. ახლა ისინი უკან ბრუნდებიან. დაბრუნდნენ მქსოველები — ა. ტურაშვილი, დ. მაზმიშვილი, ო. ლელაშვილი, მრთველები: ე. ხორბალაძე, თ. გამცემლიძე, ნ. კობერიძე და სხვები. კომბინატს მხარში ამოუდგნენ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მშრომელები. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ სწორად დაუჭირა მხარი მათ პატრიოტულ ინიციატივას — „მხარში ამოვუდგეთ კომბინატს!“ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მშრომელებმა გადაწყვიტეს ემუშავათ კომბინატში... ასე მოვიდნენ აქ: ლ. ჯაფარიძე და ქ. აწკარუნაშვილი — ქარხანა „გორიხელსაწყოდან“, ი. გოგოლაძე — „პურკომბინატიდან“; მ. გოგიჩაშვილი — სასტუმრო „ინტურისტიდან“, მ. გოჩაშვილი — უნივერმაღიდან... თითოეულმა მათგანმა 60 დღე იმუშავა კომბინატში. ჩამომსხმელმა ა. მარგიევამ კი 60 დღის შემდეგ სურვილი გამოთქვა კომბინატში დარჩენილიყო სამუშაოდ, ამ თაოსნობას ფრთები არ უნდა შეეკვეცოს.

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალზე ბევრია. მთავარი მაინც კადრებია. კადრებს კი გამოზრდა, დაოსტატება და დამაგრება სჭირდება. უბრალო სტატისტიკაც კი ნათელს ხდის ჩვენს ნათქვამს: კომბინატს კადრებს უზრდის და უმზადებს № 39 პროფტექნიკური სასწავლებელი. სასწავლებელს აქვს მდიდარი ტრადიცია, შესანიშნავი პირობები. გამოცდილი პედაგოგები ემსახურებიან მომავალი ფეიქრების აღზრდას. შედეგები? — 1970 წელს სასწავლებელში მიიღეს 260 მოსწავლე. კომბინატს მოუმზადეს 68 მქსოველი, აქედან მხოლოდ 20 მქსოველი დარჩა კომბინატში სამუშაოდ. 1972 წელს 270 მოსწავლის ნაცვლად მიიღეს 117. დღეისათვის მხოლოდ 8 მქსოველი და ორი ზეინკალი შერჩა კომბინატს.

კადრებზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ წელს კომბინატმა უნდა გამოუშვას 60.330.000 მეტრი მზა ქსოვილი. ეს პროგრამა რომ შესრულდეს, საჭიროა 6.100 მუშა, დღეისათვის კი მხოლოდ 5.300 კაცი მუშაობს კომბინატში. უნდა მოგვარდეს და გადაწყდეს საბოლოოდ საცხოვრებელი ფართობით მუშების უზრუნველყოფის საკითხი; ყველაფერი რიგზე როდია საერთო საცხოვრებლებშიც; ბევრი რამ შესაკეთებელია — დაწყებული ჭერიდან, დამთავრებული ავეჯით. მალე ცისფერი საწვავიც შემოვა, მაგრამ ამისათვის ხომ საჭიროა ყოველ ბინას ჰქონდეს სამზარეულო?! მოსაგვარებელია



გოდერძი ჭეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონი

მოთხრობა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

რუსთაველის მოედანზე რომ ავტობუსიდან ჩამოვედი, გამზირი გადავჭერი და კაფე „მეტროს“ წინ ტროლეიბუსის გაჩერებასთან შევჩერდი, ათს თხუთმეტი წუთი აკლდა. ფეხითაც რომ წავსულიყავი, ათზე უკვე საავადმყოფოში ვიქნებოდი, მაგრამ რა აზრი ჰქონდა, როცა გამოკვლევის პასუხს, სულერთია, თერთმეტამდე მაინც ვერ გავიგებდი. სახლიდან რომ გამოვდიოდი, უკვე ვიცოდი, ერთი საათი სადმე უნდა მეყურყუტა ან ქუჩაში მეხეტიალა, მაგრამ შინ მაინც ვერ გავჩერდი. ჯერ ერთი, წუხანდელი უძილო ვიყავი, ათასნაირი წარმოსახვებით ნერვებმოშლილი და ადგილს ვერ ვპოულობდი; მეორეც — დილით ყოველთვის ამ დროს მივდიოდი მეგის სანახავად და შევეჩვიე. დილით-მეთქი, თუმცა, ხშირად დღეში ორჯერაც კი მიხდებოდა მისვლა. დროს ჩემთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ინსტიტუტში საზაფხულო არდადეგები იყო და, როგორც ყველა კათედრის თანამშრომელი, ოც აგვისტომდე მეც შვებულებაში ვიყავი. წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს კი მეგის ავადმყოფობის მეორე დღესვე დავურეკე, ასეა და ასე, ბატონო ნოე, საქმე და სოჭში შეჯიბრებაზე ჩემი წამოსვლა უაზრობა იქნება-მეთქი. ძალიან შეწუხდა — უჰ, რას მეუბნებიო! — და ხმა ჩაუწყდა... არ ვიცი, რა უფრო ეწყინა, მეგის ავადმყოფობა თუ ჩემი წაუსვლელობა. თუმცა, ნოე ისეთი კაცი იყო გულცივობას ვერ დავწამებდი, მაგრამ მეორე ამბავმა, ალბათ, უფრო იმოქმედა, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზიც ჰქონდა: ექვსი თვე, კვირაში სამჯერ, ჩვენთან, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზში ერთად ვემზადებოდით და შეიძლება ითქვას, ერთმანეთის იმედი გვქონდა. მე მისი დახმარებით, რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ, ახლა მაინც უეჭველად უნდა გამემარჯვა, ჩემპიონი გავმხდარიყავი, ის კი — დამსახურებული მწვრთნელი. და მოულოდნელად ყველაფერი წყალში ჩაყრილი აღმოჩნდა... სოჭში მეგიც უნდა წამოსულიყო. მშვენიერი გეგმა გვქონდა: შეჯიბრება რომ დამთავრდებოდა, ბათუმამდე გემით ვიმგზავრებდით, მერე მაგნეტიტში ჩავიდოდით და ჩვენც დავისვენებდით ბავშვებთან ერთად...

ერთი სიტყვით, ეს ამბავი, ტელეფონით რომ ნოეს ველაპარაკე, კვირას იყო, გუნდი კი ორშაბათს გაემგზავრა და ჩემს მაგიერ სათადარიგო მხტომელი როინ მაჩაბელი წაიყვანეს...

სიგარეტს მოვუკიდე და ელბაქიძის დაღმართს დავუყევი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარე, ისევ ამეკვიატა ის წყეული, წუხანდელი აზრი თუ დიალოგი საკუთარ თავთან, კინაღამ რომ შემშალა.

— იქნება!

— არ იქნება!

— იქნება!

— არ იქნება-მეთქი! — გავიფიქრე გაცეცხლებულმა, სიგარეტი მოვისროლე და ნაბიჯს მოვუჩქარე.

იმ შაბათს, იმ დაწყევლილ საღამოს, მაგნეტიტში დასასვენებლად მიმავალი დედაჩემი და ბავშვები რომ მატარებელზე გავაცილეთ და შინ მოვბრუნდით, უეცრად მეგიმ ძლიერი ტკივილი იგრძნო და სისხლის დენა აუტყდა. აქამდე არაფერი უთქვამს, ყრუ ტკივილები კი თურმე კარგახანია ჰქონია... მაშინვე სასწრაფო გამოვიძახე... ექიმი ახალგაზრდა ქალი იყო, ორი ექთანი შემოჰყვა ჩვეულებრივი აღჭურვილობით — სასუნთქი ბალიში, წნევის საზომი აპარატი და ნიკელის ყუთი, რაშიც, ალბათ, ნემსები ელაგათ. ისინი შორიახლოს დასხდნენ, მე გვერდით ოთახში გავედი... ხომ არ გიეშმაკნიათო? — ალბათ მუცლის მოშლის ცდას გულისხმობდა, — ჰკითხა ექიმმა, მაგრამ როცა მეგიმ იუარა, შეიშმუშნა და თქვა: საავადმყოფოში უნდა მოვათავსოთო. ავდექით და წავიყვანეთ.

სისხლის დენა მესამე დღეს დილით, ესე იგი, სამშაბათს შეუჩერდა. მოგვიანებით პროფესორმა გასინჯა და მითხრა: ანთება აქვს, თანაც ფიბრომული წამონაზარდიო.

— სიმსივნე, ბატონო პროფესორო?

— ჰო, მაგრამ, ჩვენი აზრით, კეთილთვისებიანი. ანთება რომ ჩაუქრება, ისევ გავსინჯავ, შეიძლება სიმსივნე დაცხრეს, თუ არა და, ნიშანს გამოკვლევაზე გავგზავნით და ყველაფერი ზუსტად გვეცოდინება. არა, არა, საშიში არაფერია, დამშვიდდით!

— გმადლობთ.

დაუნიშნეს ათასნაირი წამლები, სისხლის გადასხმა, ნემსები. მეორე დღეს, პალატაში რომ შევედი, მარჯვენა გვერდზე იწვა. გამობურცული ბაგე, იმ საღამოს და მომდევნო ორი დღე რომ სილურჯე გადაჰკრავდა, ისევ შინდისფერი ჰქონდა, წაბლისფერი გრძელი თმა გაეშალა და ბალიშზე ეფინა, თაფლისფერ თვალებში ნათელი ედგა და გულზე მომეშვა.

— როგორა ხარ, ჩემო კარგო? — სკამი ახლოს მივიდგი და დავჯექი.

— ახლა არა მიშავს.

— ნუ გეშინია.

— არ მეშინია, ოღონდ... — გაეღიმა და განაგრძო, — ისე ვარ დაჩხვლეტილი, პირალმა ვერ გადმოვბრუნებულვარ.

— ყველაფერი კარგად იქნება.

— წერილი ხომ არ მოსულა?

— დეპეშა მივიღე, კარგად ვიმგზავრეთო... ისევ გტკივა?

— ცოტათი.

— გაგივლის. ყველაფერი კარგად იქნება.

— ალბათ.

— ალბათ კი არადა, ასე იქნება.

— ჰო, რა თქმა უნდა, შენ როგორა ხარ? — უეცრად სახეზე ჩრდილმა გადაუარა, — ჩამოგარჩინე... ჩემს გამო შეჯიბრებაზე ვერ წახვედი... ნეტავ წასულიყავი...

— აბა, რას ამბობ! ეგ მეორედ აღარ თქვა.

— ჩემო კარგო... — ხელზე ჯერ თითები გადამისვა, მერე აიღო, მკერდზე მიიკრა და თვალები დახუჭა... იმდენი სისხლი დაკარგა და, რა თქმა უნდა, სუსტად იყო.

მეოთხე დღეს მეგი კიდევ უფრო მომჯობინდა, რაც მთავარია, ტკივილები თითქმის დაუცხრა და ადგომის ნება მისცეს.

საავადმყოფოს ეზოში შესვლა, იმის მიუხედავად, რომ რკინის დიდი ჭიშკარი ჰქონდა და დარაჯიც ჰყავდა, დღისით იოლი იყო, თუმცა მე აღარც ღამით მიჭირდა, რადგან დარაჯები, ალბათ, რომელიმე ექიმს მამსგავსებდნენ, ანდა ხშირად რომ მხედავდნენ, შემეჩვივნენ, თორემ ხურდა ფულის გამო, მეგის ავადმყოფობის მეორე ღამეს რომ ერთ-ერთ მათგანს ჯიბეში ჩავუყარე, ყველა როგორ გაიღებდა ამ წყალობას? დამინახავდნენ თუ არა, მაშინვე მიღებდნენ ჭიშკარს.

შევდიოდი ეზოში, ფიჭვის ხეივანს გავივლიდი, მარცხნივ გავუხვევდი და სამსართულიან, ოთხკუთხად ნაგებ საავადმყოფოს შენობის მოპირდაპირე ფანჯრების წინ შევჩერდებოდი. ზოგჯერ დიდხანს მიხდებოდა ლოდინი, ვიდრე მესამე სართულის დერეფანში რომელიმე ლურჯხალათიანი ქალი არ გაივლიდა. ავადმყოფებს ლურჯი ხალათები ეცვათ. დავინახავდი თუ არა, ავძახებდი: მაპატიეთ ქალბატონო, თუ შეიძლება მეექვსე პალატიდან მეგის სთხოვეთ-მეთქი. ქალი თავს დამიქნევდა, გაბრუნდებოდა და ორიოდე წუთის შემდეგ ისიც გამოჩნდებოდა გაბრწყინებული. ხელს დამიქნევდა, შორიდან კოცნას გამომიგზავნიდა, მერე კიბისკენ გაემართებოდა და მე უკვე ვიცოდი, რომ გასახდელში შევხვდებოდით ერთმანეთს. თუ ძალიან გვიან იყო — გასახდელი შვიდ საათზე იკეტებოდა — პირველი სართულის დერეფანში ჩამოვიდოდა და რკინის გისოსებიან ფანჯარას მოადგებოდა...

— შენთან მინდა.

— აქ არა ვარ?

წარბები დაუტყდებოდა და თავს გააქნევდა ჰირვეული ბავშვივით. ხილეულით სავსე ცელოფანის პარკს დიდის წვალებით გავაძვრენდი გისოსებს შორის, მეგი ფანჯრის რაფაზე დადებდა და ხელებს გამოჰყოფდა. ვიდექით ხელებჩაჰიდებულები და ვსაუბრობდით, რა თქმა უნდა, გვერდით. და მოპირდაპირე ფანჯრებიდან გვხედავდნენ, მაგრამ არავის ყურადღებას არ ვაქცევდით.

— როგორა ხარ? — ვკითხე იმ საღამოს, ფანჯარასთან რომ მოირბინა და რაფას გადმოაწვა.

— ბრწყინვალედ. ტკივილები მთლად გამიქრა.

— დიდებულია. მკურნალობის კურსი ხვალ მთავრდება, არა?

— ხვალ. ნეტავ აღარაფერი დამჭირდებოდეს... რომ იცოდე, როგორ მტანჯავს ეს ყველაფერი!...

— ცოტა ხანი უნდა მოითმინო. ხვალ, ალბათ, პროფესორი გაგსინჯავს.

— ჰო... — ამოიოხრა და პერანგის საყელო გამისწორა, — შენ გაუთოვე?

— ცუდია თუ?

— ჩემო კარგო... როგორ მიგატოვე... — თვალები ცრემლებით აევსო, ხელები მომიჰირა.

— რა მოგდის! იცოდე წავალ!

— ჰო, კარგი, კარგი.

ფანჯრის რაფებზე ლურჯხალათიანი ქალები გადმოწოლილიყვნენ და გვიცქეროდნენ. ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, ეღიმებოდათ და ისევ აქეთ იყურებოდნენ. წამით რომ ფანჯრებისკენ თავი მივაბრუნე, ალეწილ სახეებსაც მოვკარი თვალი, შეჭმუხვნილ წარბებსაც და გული მეტკინა, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვთამაშობდით, განგებ ხომ არ ვიქცეოდით ასე, მათ დასანახად, გასაღიზიანებლად, ძველი, თუ ახალი ტკივილის და მწუხარების გასახსენებლად:... ზოგიერთი მათგანი, ალბათ, ფიქრობდა, მეტისმეტად უცნაური წყვილიაო, და მართალიც იქნებოდნენ, რადგან იმ ამბებისა, რაც ოჯახებში ხდებოდა და საქმეების ფონზე (ღალატი, ცემა-ტყეპა და სხვადასხვა), ყოველდღიურად რომ ირჩეოდა სასამართლოს დარბაზებში, და უმეტეს შემთხვევაში გაყრით მთავრდებოდა, უკეთესი დასკვნის გაკეთება გაუჭირდებოდათ.

— იცი? — თქვა მეგიმ ჩუმად და გაეღიმა, — გუშინ ქალებმა მკითხეს: რამდენი წელია ცოლ-ქმარი ხართო. ვუთხარი, თერთმეტი-მეთქი. არ დამიჯერეს. ბავშვების სურათები ვანახე და გაოცდნენ, ახალდაქორწინებულები ვეგონეთ...

— მთავარია, ჩვენ რომ არ გვიკვირს.

— ჰო, ჩემო კარგო...

ხიდი გადავიარე, მარჯანიშვილის ქუჩაზე გავედი და თეატრის გვერდით, „სოიუზპეჩატის" კიოსკში გაზეთები ვიყიდე. კითხვის თავი არ მქონდა, მაგრამ თერთმეტ საათამდე რა უნდა მეკეთებინა? ჰადრის ქვეშ შევჩერდი და გაზეთების თვალიერება დავიწყე. სპორტული გაზეთის პირველ გვერდზე ნაცნობი სახე მომხვდა თვალში და ფოტო-სურათის ზემოთ მსხვილშრიფტიან წარწერას დავხედე — როინ მაჩაბელი ჩემპიონია!..

— ყოჩაღ, როინ! — ვთქვი და ისევ სურათს დავხედე, ხტომის შემდეგ გადაეღოთ, გამარჯვებული და ბედნიერი იყო... გამიხარდა, მაგრამ მერე უცებ მომეწურა გული: შენ?.. მორჩა, დამთავრდა ყველაფერი... ეს შენი უკანასკნელი გაბრძოლება იყო, უკანასკნელი ცდა და პასუხი, ბოლოსდაბოლოს, იქნებოდი, თუ არ იქნებოდი ჩემპიონი... რომ წასულიყავი, იქნებოდი, აუცილებლად იქნებოდი... როინი ხუთი წლით უმცროსია, რაკი ჩემპიონი გახდა, შეიძლება ნაკრებში აღარც კი მიმიწვიონ... ეჰ, ჯანდაბას ყველაფერი, ოღონდ მეგი იყოს კარგად... ღმერთო!

საათს დავხედე, თერთმეტის ნახევარი იყო, გაზეთები დავკეცე, პიჯაკის ჯიბეში ჩავიდე და გზა განვაგრძე. საავადმყოფო იქვე იყო, თეატრთან მარცხნივ გავუხვევდი და სულ ორასიოდე ნაბიჯზე, მაგრამ იქით არ წავსულვარ. გამზირზე გავივლი-მეთქი, გავიფიქრე და პირდაპირ გავემართე.

უეცრად გონებაში ისევ წამოტივტივდა ის წყეული აზრი, თითქოს ვიღაც უსახომ და უჩინარმა, მთელი ღამე რომ მაწამა, ახლა დამცინავად ჩაიქირქილა და მოჰყვა მისებურს. უფრო მეტიც, ახლა ასოებსაც კი ვხედავდი, უზარმაზარ ასოებს, ცხვირწინ მიტრიალებდნენ, წინ მიმიძღვოდნენ ძახილის ნიშნით დამშვენებულნი:

— იქნება!

— არ იქნება!

— იქნება!

— არ იქნება!

. . . . . . . . . . . . .

მოედანს შემოვუარე და მეტროპოლიტენის სადგურის ჩაყოლებაზე გამზირს დავადექი.

გუშინწინ, დაპირებისამებრ, მეგი პროფესორმა გასინჯა. სიმსივნე არ დამცხრალიყო და ნიშანი გამოსაკვლევათ გაგზავნეს.

იმ დღეს არაფერი, მაინცდამაინც არც გუშინ მინერვიულია, რადგან დარწმუნებული ვიყავი, საშიში არაფერი აღმოჩნდებოდა, პროფესორიც ამასვე მეუბნებოდა, ოპერაციის წინ ყოველთვის ასე ვაკეთებთ, ავადმყოფის ისტორიისათვის აუცილებელიაო... იმ დღეს და არც გუშინ ეჭვი არაფერში შემპარვია, ღამით კი, სინათლე რომ ჩავაქრე და დავწექი, ყველაფერი თავდაყირა დადგა. — ვაი თუ, სიმსივნე ავთვისებიანი იქნა! — გამიელვა, — არა, არ იქნება-მეთქი, და აქედან დაიწყო ეს საზიზღარი თამაში... ვცდილობდი მომეგონებინა, აღმედგინა დღევანდელი განწყობა — კეთილის რწმენა, თავდაჯერება, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. უეცრად ყველაფერი დამავიწყდა, თუმცა, კი არ დამავიწყდა, მახსოვდა, მაგრამ მნიშვნელობა დაჰკარგა, უფერული გახდა, უძარღვო და უსისხლო... ჰაღარა, თხელბაგიანი, ნიკაპშეჭყლეტილი პროფესორის იმედიანი თვალები სიცრუით, დამცინავი ღიმილით სავსე მეჩვენებოდა და მისი მქირდავი ხმა მესმოდა — გულუბრყვილო ყოფილხართ, ყმაწვილო, რაკი ჯერი გამოკვლევაზე მიდგა, საქმე ცუდად არისო... მერე მეგის ჯანსაღ, სიცოცხლით სავსე სახეს წარმოვიდგენდი, საამისო რა ეტყობა-მეთქი, დავასკვნიდი და უცებ ვმშვიდდებოდი. მაგრამ ბოლოს, შარშან მოულოდნელად გარდაცვლილი ახალგაზრდა მეზობელი ქალი გამახსენდა და ამან მთლად მომიღო ბოლო... საბრალომ დილით სკოლაში გაკვეთილი ჩაატარა, საღამოს საშინელი თავის ტკივილი აუტყდა და მეორე დღეს უკვე აღარ იყო...

რკინიგზელთა სახლთან რომ მივედი, შევჩერდი, სადღა მივდივარ-მეთქი და საათს დავხედე, თერთმეტი იყო... გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო, ავწრიალდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა, გავქცეულიყავი, თუ დრო გამეჭიანურებინა... გამოვბრუნდი, გამზირი გადავირბინე და კრილოვის ქუჩაზე ჩავუხვიე:

— იქნება!

— არ იქნება!

— იქნება!

— არ იქნება!

. . . . . . . .

საავადმყოფომდე სირბილით მივედი. ჭიშკართან შევჩერდი, სული მოვითქვი და შევედი. ფიჭვის ხეივანი სწრაფად გავიარე და მარცხნივ გავუხვიე... ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ტევა აღარ იყო. უმრავლესობა მამაკაცები, უმრავლესობა კი არა, ორი თუ სამი ქალი დავინახე, დანარჩენი კი სულ მამაკაცები იყვნენ.

— რა მოხდა? — ვიკითხე და პასუხს აღარ დაველოდე, რადგან



უმალ მოვედი აზრზე, ავადმყოფებთან მოსული მნახველები . იყვნენ და მოპირდაპირე ფანჯრებს მივაშურე.

— მოხვედი, ჩემო კარგო?

მეგი შესასვლელთან იდგა, როგორც იმ საღამოს, აქ რომ წამოვიყვანეთ, ისევე ეცვა, თეთრი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და გულამოჭრილი ვარდისფერი კაბა, ხელში ჩანთა და სავსე ბადურა ეჭირა.

— მეგი! — მივვარდი და გადავეხვიე, — როგორ არის საქმე?

— გამომწერეს, გამოკვლევის პასუხი დადებითია...

— უჰ, მადლობა ღმერთს!

— პროფესორმა მითხრა, — განაგრძო მეგიმ, — ორი-სამი თვის შემდეგ მოდით და თუ შეწოვა არ მოხდა, ოპერაციას გაგიკეთებთო.

— შეიძლება მოხდესო, არა?

— ჰო, ხდება ხოლმეო.

— ძალიან კარგი.

— რა მაგრად ცხელა, გაოფლიანებულხარ, — ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე მომისვა, — წავიდეთ.

ბადურა გამოვართვი, ხელი გადავხვიე და გასასვლელისაკენ გავემართეთ. ავადმყოფების სანახავად მოსული მამაკაცები თავაწეულები იდგნენ, სიგარეტს აბოლებდნენ და ფანჯრების რაფებზე გადმოწოლილ ლურჯხალათიან ქალებს ესაუბრებოდნენ. ეზო უკან მოუხედავად გავიარეთ. ქუჩაში რომ გავედით, მეგი კუთხის სახლთან შეჩერდა და სიცილი აუტყდა.

— რა გაცინებს?

— მიხარია. ვერ ხედავდი .იქ რა ამბავი იყო?

— სად?

— საავადმყოფოს ეზოში.

— ააა. ნეტავ რა მოელანდათ, ყველას ერთად რომ მოუყრია თავი?

— შენს გამო მოხდა.

— ჩემს გამო?

— ოჰ, ვითომ ვერ ხვდები... მართლა, გაზეთი გექნება, ბადურაში ჩავაფენ, თორემ, რაც შიგ ალაგია, ყველაფერი მოჩანს.

ჯიბიდან გაზეთი ამოვიღე, გავშალე და ბადურაში ჩავაფინე. როინ მაჩაბელის სურათი ზემოდან მოხვდა, მეგიმ დახედა და თქვა:

— ის გამხდარა ჩემპიონი.

— დეპეშით უნდა მივულოცოთ.

— ჩემო კარგო, — თქვა მეგიმ და ამოიოხრა.

— წავედით.

— აქედან სად მივდივართ?

— რესტორანში შევიდეთ და ვისაუზმოთ, თანაც შენი გამოსვლა აღვნიშნოთ.

— დიდებულია. საღამოს კი, ბავშვებთან, მაგნეტიტში, ხომ?

— რა თქმა უნდა.

ჩოდრიშვილის ქუჩით გამზირზე გავედით. უამრავი ხალხი ირეოდა, ტროტუარებზე ვერ ეტეოდნენ და მანქანების სავალ გზაზე გადადიოდნენ, იდგნენ ჭადრების ჩრდილქვეშ და საუბრობდნენ, ათვალიერებდნენ ვიტრინებს, შედიოდნენ მაღაზიებში და გამოდიოდნენ... მივდიოდი და უზომოდ ბედნიერად ვგრძნობდი თავს; ვუცქერდი მეგის, ხელმკლავით რომ მომყვებოდა გვერდით, ნათელი, მზეჩამდგარი თვალებით და მიხაროდა. წინ, ვინ იცის, რამდენი ჩემპიონი, პირველი კაცი მხვდებოდა, გამარჯვებულები და გამოჩენილები, მაგრამ მათ შორის ყველაზე ბედნიერი მაინც მე ვიყავი.



# გადაცემა

ამ ოჯახში ორი პედაგოგი ცხოვრობს: მეთოდ-კაბინეტის გამგე სკოლამდელი აღზრდის დარგში მარიამ თოიძე (ამჟამად პენსიონერი) და მისი შვილი ლეილა ბარაბაძე. ლეილას პედაგოგობა უბრალო გატაცება როდი იყო. ბავშვებისადმი ეს დიდი სიყვარული მას დედამ ჩაუნერგა.

ლეილა ბარაბაძე ინტელექტუალური, პრინციპული მასწავლებელია. პარტიული ბიურო, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, დიდ დახმარებას უწევს თბილისის 58-ე საშუალო სკოლის ხელმძღვანელობას სასწავლო-სააღმზრდელო საქმის კარგად დაყენებაში. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ლეილა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ზრდის მათ პრინციპულ, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელ, კოლეგიალურ და მეგობრულ პიროვნებებად. მისი სააღმზრდელო კლასების მოსწავლეები ყოველთვის გამოირჩევიან საუკეთესო თვისებებით.

დიდ ყურადღებას უთმობს ლეილა ბარაბაძე მეთოდურ დახელოვნებას. მისი ხელმძღვანელობით წელს სკოლაში გაიხსნა რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, აქ ჩატარდა საქალაქო გაკვეთილი, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა, ლეილა მაღალკვალიფიციური პედაგოგია, გაკვეთილებზე ყოველთვის იყენებს ახალ მეთოდებს, ტექნიკურ საშუალებებს: კინო-აპარატს, მაგნიტოფონს, ეპიდიასკოპს, შექმნა კაბინეტი-ფილმოთეკა, რომელიც თვითონ გამოიწერა მოსკოვიდან, დაამყარა ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკების სკოლებთან.

...VII კლასში რუსული ენის გაკვეთილი დაიწყო. ლეილამ კლასს თვალი გადაავლო, არავინ აკლდა. მობუზულიც არავინ შეუნიშნავს, სწორად, გამართულად ისხდნენ მერხებზე ბავშვები. მათი თვალები გაბედულად შეჰყურებდნენ მასწავლებელს. მის შეკითხვაზე ყველა მზად იყო საპასუხოდ.

18 წელია, რაც ლეილა რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მას დიდი ოსტატობით მიაქვს ამ ენის მადლი მოსწავლემდე, როგორც უსაზღვრო სიკეთე. ეს კი დაუცხრომელი შრომისა და ფიქრის შედეგია. იგი საოცარი ძალით იპყრობს ბავშვების ყურადღებას, თავისთავად, ძალდაუტანებლად მახვილდება ყურადღება ძირითად საკვანძო საკითხებზე.

...და ლეილა ბარაბაძის მოსწავლეთა უმრავლესობამ სწორედ ამიტომ თავის პროფესიად რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა აირჩია.

ნინო უთურაშვილი



# დეპუტატი

გალის რაიონში, სოფელ ნარინჯოვანში ცხოვრობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მერი კაკავა. მისი თაოსნობით ბევრი რამ გაკეთდა სოფელში: მოასფალტდა სოფლის ცენტრალური სამკილომეტრიანი გზა, აშენდა კლუბ-კანტორა, მოსახლეობა უზრუნველყვეს სასმელი წყლით, გაიხსნა სამედიცინო პუნქტი, გაუმჯობესდა კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობები, ტარდება კულტურული ღონისძიებანი.

სოფელი ამაყობს თავის რჩეულით.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მერის სხვაგან არ უძებნია სამოქმედო ასპარეზი, მშობლიურ კოლმეურნეობაში მივიდა სამუშაოდ, გვერდში ამოუდგა თანასოფლელებს ჩაის უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში. 0,35 ჰექტარ პლანტაციაში 5,6 და 7 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფდა.

1960 წელს მერი სათავეში ჩაუდგა სოციალისტური შრომის გმირის, ნოვატორი მკრეფავის თამარ კაკავას მიერ ჩამოყალიბებულ უფროსი თაობის რგოლს. ამ რგოლის წევრები ჰექტარზე 18-დან 21 ტონამდე ჩაის კრეფდნენ. 1961 წელს კი ვალდებულებით გათვალისწინებული 29 ტონის ნაცვლად 35 ტონა ჩაი მოკრიფეს. იმავე წელს მერი დააჯილდოვეს შრომის წარჩინებულის ნიშნით, 1963 წელს კი აირჩიეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

მოწინავე მკრეფავის უპირველეს მიზნად რჩებოდა უმაღლესი განათლების მიღება. იგი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გახდა. შევიდა სკკპ რიგებში, კვლავაც იღებდა ჩაის უხვ მოსავალს, რისთვისაც დააჯილდოვეს საპატიო ნიშნის ორდენით.

1967 წელს მერი კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის № 5 საწარმოო ბრიგადის ბრიგადირად დააწინაურეს. მისმა სადიპლომო შრომამ — „ჩაის კულტურის გასხვლის ახალი მეთოდები“, რომელსაც კოლმეურნეობის ნაკვეთზე ამუშავებდა, „ფრიადი“ შეფასება მიიღო, მერი აგრონომი გახდა. მან მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ბრიგადის მუშაობაში, დააკომპლექტა ახალგაზრდა კადრებით, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, აითვისა ახალი ფართობები, წამოაყენა ნოვატორული წინადადებები, გაზარდა ნაკისრი ვალდებულებები, რასაც გადაჭარბებით ასრულებდნენ. მერიმ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა არა მარტო მშობლიურ კოლმეურნეობაში, არამედ მთელს რესპუბლიკაში. შემთხვევითი არ იყო, რომ იგი 1970 წლის ივნისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

მერი კაკავას წარმატებები დაკავშირებულია წლების მანძილზე მუყაით შრომასთან, ხალხის სიყვარულთან. მისი იდეალი ხალხისათვის თავდადებული პიროვნებაა, რომელშიც ზომიერად არის შერწყმული უბრალოება, სიმტკიცე, სიახლის გრძნობა.

1972 წლიდან მერი კოლმეურნეობის მთავარი აგრონომია და დიდი პასუხისმგებლობაც აკისრია. კოლმეურნეობამ წელს დიდი ამოცანა უნდა გადაჭრას: აუცილებლად შეასრულოს სახელმწიფო გეგმები, თავი არ შეირცხვინოს ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა განაღდებაში.

კითხვაზე, სად ღებულობს ამომრჩევლებს, მერი მოკლედ პასუხობს:

ყველგან.

და მართლაც იგი კაბინეტში არ ელოდება ხალხს, თვითონ მიდის მათთან, ესაუბრება საჭირბოროტო საკითხებზე, აძლევს რჩევას, პირდება დახმარებას. ხალხს მისი სჯერა: რადგან მერიმ ითავა, საქმეს დროზე და სწორად გადასწყვეტსო.

ზურაბ თორია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მომავალი დედებისათვის

მშრომელი ქალის, პირველ რიგში ფიზიკური შრომით დაკავებული ქალის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფეხმძიმობისა და ბავშვის მოლოდინის პერიოდი.

პოლონეთში არსებობს დადგენილება ფეხმძიმობის მეექვსე თვის დასაწყისიდანვე ქალების უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანის შესახებ, მაგრამ ამ დადგენილების პრაქტიკულ განხორციელებას ხშირად სიძნელეები ეღობება. საწარმოებში ზოგჯერ არა აქვთ საამისო პირობები და ამიტომ არის შემთხვევები, როცა ქალები ფეხმძიმობის ბოლო სტადიამდე რჩებიან თავიანთ ძველ სამუშაოზე, მაშინაც კი, როცა მისი შესრულების ძალა უკვე აღარ შესწევთ.

პოლონეთის პირველი საწარმო, სადაც გადაწყდა არსებული მდგომარეობის კარდინალური შეცვლა, გახდა წინდების ფაბრიკა „სანდრა", რომელიც ლოძის სავოევოდოში მდებარეობს. აქ ფეხმძიმე ქალებისათვის მსუბუქ სამუშაოთა სპეციალური საამქრო შეიქმნა.

„სანდრა" მსხვილი საწარმოა, მასში 4 ათასამდე ადამიანი მუშაობს. ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა 75 პროცენტს ქალები შეადგენენ. მშრომელ ქალთა საშუალო ასაკი 30 წლამდე აღწევს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ აქ გამუდმებით არიან ქალები, რომლებიც შთამომავლობას ელოდებიან, მაგრამ, საამქროში მეტისმეტად მძიმე პირობებია (ხმაური, გახურებული ჰაერი, მტვერი, ზოგი მანქანის მომსახურეობისას მუშას ხელები მაღლა უნდა ჰქონდეს აღმართული), რაც შრომის აუტანელ პირობებს ქმნის ფეხმძიმე ქალთათვის.

მსუბუქ სამუშაოთა სპეციალური საამქროს გახსნის წინ, ფაბრიკის ხელმძღვანელობამ კონსულტაცია მიიღო ფაბრიკის ექიმისაგან, ფსიქოლოგისა და სოციოლოგისაგან, მუშა ქალთა შორის ჩაატარეს ანკეტური გამოკითხვა. ყველამ ერთსულოვნად მოიწონა წამოჭრილი იდეა.

როგორ განახორციელეს ეს იდეა?

„სანდრას" საამქროები გაბნეულია მთელს ქალაქში. ერთი მათგანი მდებარეობს ისეთ ადგილას, სადაც ყველაზე უფრო სასურველი კლიმატური პირობებია და სწორედ ის იქმნა შერჩეული ფეხმძიმე ქალთა სამუშაო საამქროს მოსაწყობად.

მანქანების ადგილი ამ საამქროში მაგიდებმა და სკამებმა დაიკავეს, იზრუნეს შენობის გარეგან სახეზეც, მის მოწყობილობაზე, კედლები შეღებეს ღია ფერებში, არც ყვავილები დაივიწყეს, მიაღწიეს ტენიანი ჰაერის განუწყვეტელ მოძრაობას, სავენტილაციო მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას, დადგეს მაგნიტოფონი, შეიძინეს პოპულარული ჩანაწერების ფირფიტები.

რა სამუშაოს ასრულებენ ახლა ამ საამქროში მომავალი დედები? ისინი ამოწმებენ გამოშვებული ნაწარმის ხარისხს, ავლენენ წუნს, ასწორებენ დეფექტებს. ეს საამქრო თითქოს ფაბრიკის ჩვეულებრივი შემკეთებელი სახელოსნოს ფილიალია.

სხვადასხვა საამქროებიდან გადმოყვანილი ქალები მუშაობის დაწყებამდე ინსტრუქტორის ზედამხედველობით გადიან გადამზადებას. აქ, ისე როგორც ყველგან, მუშაობა ორცვლიანია, სამუშაო დღე 8 საათს გრძელდება. მაგრამ, შემოღებულია ზოგიერთი შეღავათები: მუშა ქალებს ეძლევათ 40-წუთიანი შესვენება საუზმისათვის და 30-წუთიანი — დასვენებისათვის. საამქროში მოწყობილია საფაბრიკო „სკოლა მომავალი დედებისათვის". ამ სკოლაში ტარდება ფეხმძიმე ქალებისათვის ლექციები, რომელთაც კითხულობენ ექიმი გინეკოლოგი და მეანი — ტარდება სპეციალური ვარჯიშები.

საექიმო კაბინეტი მოთავსებულია საამქროს გვერდით, იქვე, მეზობლად გახსნილია ჰიგიენის ოთახი შხაპებით (აქ მუშა ქალებს შეუძლიათ დაისვენონ შესვენების დაწყებამდეც) და სპეციალური ოთახი სასაუზმოდ.

ყოველი ახალი იდეის, ყოველი სიახლისავ-კარგს დრო ამოწმებს. „სანდრას" სპეციალური საამქრო რამდენიმე თვეა რაც გაიხსნა და მან უკვე ორთავე მხარის — საწარმოს ხელმძღვანელთა და მუშა ქალთა მოწონება დაიმსახურა.

მართალია, პირველ ხანებში მუშა ქალებს ეშინოდათ ახალ სამუშაო ადგილზე გადასვლა, მაგრამ მალე, არამარტო შეეჩვივნენ ახალ პირობებს, არამედ თავი უკეთესადაც იგრძნეს; ახლა მათ გაცილებით მეტი თავისუფალი დრო აქვთ (ხელფასი კი იგივე შეუნარჩუნდათ). საერთო ინტერესებმა უფრო მტკიცედ დააკავშირა ერთმანეთთან მომავალი დედები: ერთად შრომობენ, ერთად ისმენენ საუბრებს ახალშობილთა მოვლის შესახებ, ემზადებიან იმისათვის, რომ ქვეყანას აღუზარდონ ჯანსაღი მომავალი თაობა.

ფაბრიკის ხელმძღვანელობა კმაყოფილია. მომავალი დედებისათვის შეღავათების მიცემა მნიშვნელოვანი სოციალური მოთხოვნების განხორციელებაა, ამავე დროს ქალები, სარგებლობენ რა შეღავათებით, უფრო მონდომებულად და კეთილსინდისიერად მუშაობენ და მათი შრომის შედეგიც უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში დამხმარე ოპერაციების შესრულებისას.

„სანდრას" ხელმძღვანელებს განზრახული აქვთ გააგრძელონ ექსპერიმენტი, ფიქრობენ ანალოგიურ პრინციპებზე მოაწყონ საამქრო შრომის უნარდაქვეითებულთათვისაც.

„სანდრას" თაოსნობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ადვილი შესაძლებელია მის მაგალითს გაჰყვნენ პოლონეთის სხვა საწარმოებიც.

**კრისტინა ზანი,**
**ინტერპრესის პოლონეთის სააგენტო.**

# ვიეტნამი

**ამერიკელთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეებში ვიეტნამელმა ახალგაზრდობამ შექმნა დამკვრელი რაზმები, რომელთა ძირითად ბირთვს კომკავშირელები — ხო შიმინის სახელობის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის წევრები — შეადგენენ. ამ რაზმებში ნებაყოფლობით, მასობრივად ერთიანდებოდნენ 15-17 წლის ჭაბუკები და გოგონები.**

**„მტერი თუ დაანგრევს — ჩვენ აღვადგენთ!" — აი რა იყო რაზმელთა დევიზი. და ისინი ბრძოლის ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე დგებოდნენ: იცავდნენ რკინიგზებსა და გზატკეცილებს, გაჰყავდათ ახალი გზები, აშენებდნენ თავშესაფრებს, აღადგენდნენ მტრის მიერ დანგრეულ სკოლებს, საავადმყოფოებს, აუვნებლებდნენ აუფეთქებელ ბომბებს.**

**მე ვნახე მებრძოლი ვიეტნამი, ომით დანგრეული, ყუმბარებით გადათხრილი მისი მიწა-წყალი. და განცვიფრებული დავრჩი, თუ როგორ ახერხებდნენ ვიეტნამელი პატრიოტები მტრის ავიაციის გააფთრებული თავდასხმის პირობებში დანგრეულ გზებსა და გადასასვლელებზე შეუფერხებელი მოძრაობის შენარჩუნებას. შემდეგ გავიგე, რომ ეს საქმე ახალგაზრდების დამკვრელ რაზმების [illegible] ნაკისრი.**

**მე ვნახე რაზმელები მუშაობის დროს. ისინი მტრის ყუმბარებით დამსხვრეულ რკინიგზის ლიანდაგებსა და შპალებს ცვლიდნენ, საზიდარებითა და ბამბუკის კალათებით ეზიდებოდნენ ქვასა და ღორღს და ყუმბარებით ამოთხრილ ორმოებს ავსებდნენ, გზებს ასწორებდნენ.**

**მე ვნახე რაზმელები მდინარის გადასას-**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# თაოზა

ვლელთან. მდინარის მთელ სიგანეზე ნავტი-კის ხიდები გადაჭიმულიყო, ზედ ბამბუკის შტამბები დაეგოთ. მდინარის ორთავე ნაპირზე იდგნენ მოძრაობის მარეგულირებელი გოგონები, იდგნენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში, დღისით ხელში ალმები ეპყრათ, ღამით — ფარნები. მონაცვლებით — ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით — აძლევდნენ გზას ტრანსპორტის ნაკადს. ერთგან რაზმელი ჭაბუკები დაზიანებულ ნავტიკის ხიდებს არემონტებდნენ, გოგონებს ბამბუკის შტამბები მოჰქონდათ ხიდზე დასაგებად. მუშაობდნენ და თან მღეროდნენ.

სასიამოვნო მოსასმენია ვიეტნამური სიმღერები, გხიბლავს მელოდიურობით, სილბილით, სითბოთი, ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების თავისებური გამოთქმით. განსაკუთრებით სასიამოვნოა ახალგაზრდების სიმღერა, მათი წკრიალა, ქორფა, პირდაპირ გულიდან ამოსული ხმები.

მე ვესაუბრე რაზმის უფროსს, ამხანაგ ხანს; მან მითხრა: ჩვენ არა მარტო გადასასვლელის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა გვეკისრებოდა, არამედ ჩვენს უბანზე მტრის თვითმფრინავების მიერ ჩამოყრილი დაყოვნებული მოქმედების ბომბების გაუვნებლებაცო. ხანმა მიამბო, თუ როგორ აწყობდნენ ასეთი მძიმე და საშიში სამუშაოს შესრულებას. „თვითმფრინავების თავდასხმის დროს ორ რაზმელ გოგონას ევალებოდა ჩაეწერა სად და რამდენ ბომბს ჩამოაგდებდა მტერი და რამდენი აფეთქდებოდა. დაბომბვის შეწყვეტის შემდეგ ამ მონაცემების საშუალებით ადვილად ვაგნებდით ბომბის დაცემის ადგილს, შემოვზღუდავდით, რომ ახლოს არავინ მისულიყო და შემდეგ კი იწყებოდა მიწაში ღრმად ჩაფლული ბომბის ძებნა. არც ისე იშვიათი იყო შემთხვევა, როცა ორმოს თხრის დროს ბომბი აფეთქდებოდა და მძებნელები იღუპებოდნენ. ბომბის პოვნის შემთხვევაში მასთან მხოლოდ ერთი ადამიანი — სპეციალისტი რჩებოდა და ახდენდა მის გაუვნებლებას".

ვიკითხე, რომელი რაზმელი ასრულებდა ამ სახიფათო საქმეს. მიჩვენეს პატარა ქალიშვილი, სახელად მი. „47 ბომბი გააუვნებლაო, — მითხრეს.

მაშ, ეს ცეროდენა გოგონა 47-ჯერ იდგა სიკვდილის პირისპირ, მარტოდმარტო?

— ნუთუ არ გეშინოდათ? — შევეკითხე მას.

— რა დასამალია, მეშინოდა, ძალიანაც მეშინოდა, მაგრამ, აუფეთქებელი ბომბი ხომ უფრო საშიშია?

ათასობით ასეთი დამკვრელი რაზმები მოქმედებდნენ ომის დღეებში დემოკრატიული ვიეტნამის მიწა-წყალზე. მათი ყოველი დღე და საათი მამაცობისა და გმირობის მაგალითებით იყო სავსე. ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი მთავრობამ ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა.

ახლა ახალგაზრდების რაზმები ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის პასუხსაგებ უბნებზე შრომობენ, აქტიურად მონაწილეობენ იმ მძიმე ჭრილობების მოშუშებაში, რომლებიც ვიეტნამელ ხალხს მიაყენა მრავალწლიანმა ომმა.

...მრავალი ვიეტნამელი ახალგაზრდა სწავლობს ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, თითქმის ყველას მკაცრი საბრძოლო გზა აქვს გავლილი. აი, ორი მათგანი — მინიატურული, ალერსიანად მომღიმარე ორი ქალიშვილი — ლოანი და ხა. ისინი ჩვენთან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციიდან ჩამოვიდნენ. ლოანი ტხანხოაში — „მეოთხე ზონაში" — ცხოვრობდა. ეს ზონა მტრის ავიაციის ყველაზე უფრო გააფთრებული და ხანგრძლივი თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა. ლოანი და მისი მეგობარი ქალიშვილები მეზენიტეებს უზიდავდნენ ყუმბარებს, უმზადებდნენ საჭმელს, ამარაგებდნენ სასმელი წყლით, პირველ დახმარებას უწევდნენ დაჭრილ მებრძოლებს.

ხაც გამოცდილი მებრძოლია. იგი ხაიფონიდანაა. სახალხო მოლაშქრეების ქალთა რაზმში იბრძოდა, ოკეანის სანაპიროს იცავდა დივერსანტებისაგან, რომლებსაც იქ მტერი გადმოისროდა ხოლმე დროდადრო.

ამერიკელთა ავიაციის წინააღმდეგ იბრძოდა მეზენიტე ტოანიც. მისი ბატარეის საბრძოლო ანგარიშზე მტრის 52 ჩამოგდებული თვითმფრინავია. ტოანს მიღებული აქვს მთავრობის არაერთი ჯილდო. ახლა იგი ჩვენს ქვეყანაში სწავლობს.

ისეთივე დაჟინებით ეუფლებიან ვიეტნამელი ახალგაზრდები მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, როგორც მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ისინი ისწრაფვიან იყვნენ თავისი გმირი ხალხის ღირსეული შვილები.

ფ. ოვოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვლავ „ორი შვილობილის" შესახებ

„საქართველოს ქალის" 1973 წლის მაისის ნომერში გამოქვეყნებულმა ჩემმა ნარკვევმა — „ორი შვილობილი" მკითხველთა ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ადამიანები აღელვა ორი ბიჭის ბედმა, რომლებმაც სხვადასხვა გზა გაიარეს, მაგრამ მიაღწიეს ერთ უმთავრეს მიზანს — ცხოვრებაში მონახეს სწორი გზა, გახდნენ საზოგადოებისათვის, მეგობართათვის სასარგებლო ადამიანები, კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები ხშირად რეკავენ და გვეკითხებიან: „ნუთუ ეს ამბავი მართალია?", ზოგიერთებს აინტერესებთ: რით განსხვავდებიან თანატოლი ახალგაზრდებისაგან გიგო ქლენტი და ბიძინა ახვლედიანი?

ნარკვევში ნათქვამია, რომ გიგო ქლენტი იურისტია, ბიძინა ახვლედიანი კი — მშენებელი ინჟინერი. ორივენი შესანიშნავი ახალგაზრდები არიან, თავიანთი ეპოქის ღირსეული შვილები, თავდადებით, კეთილსინდისიერად შრომობენ, ჰყავთ მეგობრები, ამხანაგები, უყვართ მოგზაურობა, დროსტარება, ცეკვა-სიმღერა, დადიან თეატრებში, კინოებში, მუზეუმებსა და გამოფენებზე. გიგო ქლენტი კარგად ნადირობს, განსაკუთრებით გატაცებულია თევზაობით. ამ ახალგაზრდა ვაჟკაცს უყვარს მიწა, საკუთარი ხელით ამუშავებს მას და იწევს მოსავალს.

ნარკვევის სხვა პერსონაჟები — საჩხერელი მასწავლებელი ვალერიან გამგებელი, ლაგოდეხელი კოლმეურნე მაკარი ქაშაკაშვილი, ექიმი ვახტანგ კერესელიძე, ვლადიმერ მიგინეიშვილი, ნადეჟდა და ნიკოლოზ ნიკიტინები, ეკატერინე არუთინოვა, ილია ბოლქვაძე თავისი ოჯახით და დით თებრონე ქლენტით, ყველანი რეალური ადამიანები არიან.

„ორი შვილობილის" გამოქვეყნებისთანავე გამოგვეხმაურნენ გამგებელი და ქაშაკაშვილი. სოფელ ჭორვილის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ვალერიან გამგებელი საჩხერის რაიონულ გაზეთში წერს: „ეკატერინე! როგორ დაგავიწყდება სახელი ასეთი გულისხმიერი დობილისა, რომელმაც სიცოცხლის ბეწვის ხიდზე გაიარა. მან პატარა, უსუსური, უპატრონო, უდედმამო, ბედისანაბარა მიგდებული ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა, მასთან ერთად გადალახა შიმშილი, ავადმყოფობა, სიცივე, შიში და. ვინ იცის, კიდევ რამდენი გაჭირვება".

„ხალხში იტყვიან „ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო" — ასეთად მიმაჩნია პატარა იგორი, ახლა გიგო ქლენტი, — გვწერს ლაგოდეხის რაიონის სოფელ საქობოს კოლმეურნეობის წევრი მაკარ ქაშაკაშვილი. — იგი საშინელ ტყვეობაში შეხვდა ერთ დედობილს ეკატერინე არუთინოვას სახით, ხოლო საქართველოში მეორე დედობილი — თებრონე ქლენტი იპოვა. ამ უკანასკნელმა ოფიციალურად იშვილა იგორი, გაათბო დედობრივი სიყვარულით, თავისი გვარი და ქონება მისცა უთვისტომო ბავშვს. ორივე დედობილს დიდი მადლობა და პატივისცემა! რაც შეეხება „ორ შვილობილში" მოთხრობილ ამბავს ტყვეობიდან გამოქცევის შემდეგ, ეს ისე ზუსტადაა აღწერილი, გეგონებათ, ავტორი იქ იდგა სადმე და თავისი თვალით უყურებდაო. მადლობას მოვახსენებ „საქართველოს ქალის" რედაქციას და ავტორს ჩემი მცირე ღვაწლის ასეთი დაფასებისათვის".

მრავალი გამოხმაურებიდან მოვიყვანთ ადგილებს კიდევ რამდენიმე წერილიდან: „...ვინც არ უნდა წაიკითხოს ეს ნარკვევი არ შეიძლება წარუშლელი შთაბეჭდილება არ დასტოვოს მასზე. — წერს ჭიათურის რაიონის სოფელ პერევის ფოსტის გამგე ქეთო წერეთელი. — ომის საშინელება თითქმის ყველა საბჭოთა ოჯახმა განიცადა. ჩემი ძმაც იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და შინ გამარჯვებული დაგვიბრუნდა. მაგრამ ის საშინელება, რაც ჩვენმა ადამიანებმა ფაშისტურ ტყვეობაში განიცადეს აუწერელია. ძლიერ ამაღელვა პატარა იგორის ბედმა და მთელი რიგი ადამიანების სიყვარულმა და თავდადებამ, რათა უპატრონო ბიჭი ცხოვრების ფართო გზაზე გამოეყვანათ. დიდი მადლობა და პატივისცემა იმ ადამიანებს!".

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა-საზანოს მცხოვრებნი: ეთერ ჯოხაძე, ანიკო ჩუბინიძე, რუსიკო მოდებაძე, ნელი და თინა ჭანტურიძეები გვწერენ: „კარგია, რომ პატარა იგორის მზრუნველ-დედობილებს შრომამ უქმად არ ჩაუარათ და სრულფასოვანი საბჭოთა ადამიანი აღუზარდეს ჩვენს ქვეყანას".

„ორმა შვილობილმა" მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, — წერს ონის საბავშვო სახლის აღსაზრდელი მარიზა იაშვილი. — მთელი ღამე ვბორგავდი, მოსვენება დავკარგე. ეს ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ საბავშვო სახლში ვიზრდები. მაგრამ მე დიდი ტრაღედია არ გადამხდენია, სახელმწიფო ყველაფრით უზრუნველმყოფს. ჩვენი საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა და აღმზრდელებმა შეიყვარეს ეკატერინე არუთინოვა და თებრონე ქლენტი. გაუმარჯოს მათ ადამიანობას, მათ შვილობილებს, რძალსა და პატარა ნათიას! ამ უკანასკნელს სიყვარულით ვკოცნი".

ჯერჯერობით არ გამოგვეხმაურნენ ექიმი ვახტანგ კერესელიძე, ნადეჟდა და ნიკოლოზ ნიკიტინები. ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა ვლადიმერ მიგინეიშვილი, გარდაიცვალა ილია ბოლქვაძეც.

დიდი სამამულო ომის დაწყებიდან დამთავრებამდე ცეცხლის ხაზზე ვიყავი და ფაშიზმს ვებრძოდი. ამიტომ ნურავინ ნუ გამამტყუნებს, რომ ჩემი სიმპათიები ყოველთვის ბრძოლა და ტანჯვაგამოვლილი ადამიანებისკენაა მიმართული.

ალბათ, ამან გამოიწვია ის, რომ ნარკვევში უფრო დიდი ადგილი დავუთმე ტყვეობის და იქიდან გამოქცევის ამბებს, ვიდრე საქართველოში იგორის დავაჟკაცებას. უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ნარკვევში უფრო ფართოდ უნდა მეჩვენებინა თებრონე ქლენტისა და მისი ძმის ილია ბოლქვაძის ოჯახის ამაგი იგორის — გიგო ქლენტის აღზრდის საქმეში.

ეკატერინე არუთინოვა ჯერ კიდევ მძიმე ავადმყოფი იყო, როცა იგორთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. ძმის ოჯახში ერთ ოთახში ცხრა სული ცხოვრობდა, სხვა საცხოვრებელი ფართობი არ გააჩნდათ. ეკატერინეს ჯერ მუშაობა არ დაეწყო და მატერიალურადაც უჭირდა. სამუშაოზე მოწყობისათვის მიმართა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კადრების განყოფილებას, რომელსაც გულისხმიერი ადამიანი ილია ბოლქვაძე განაგებდა. ილიამ მიუალერსა სამხედრო ფორმაში გამოწყობილ პატარა ბიჭუნას, დაინტერესდა მისი ბედით. ეკატერინე არუ-

თინოვამ მოუთხრო იგორის თავგადასავალი, უამბო აგრეთვე თავისი გასაჭირი.

ილია ბოლქვაძე ძლიერ შეაწუხა ბავშვის ბედმა.

სამუშაოდან რომ დაბრუნდა, სოფლიდან ჩამოსული ქვრივი, უშვილო და თებრონე ქლენტი დახვდა სახლში. საოჯახო თათბირზე გადაწყდა პატარა იგორის შემდგომი ბედი. იგი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვაზისუბანში წაიყვანა თებრონე ქლენტმა და დედობრივი ალერსით გაათბო.

ეკატერინე არუთინოვა კი ამ პერიოდში ავადმყოფობის გამო ხანგრძლივი დროით ჰოსპიტალში მოათავსეს.

დრო გადიოდა, პატარა იგორი იზრდებოდა. ზაფხულობით იგი სოფელში ჩასულ ილია ბოლქვაძის ქალიშვილებთან — ნუნუ, ლონდა და ნათელასთან ერთად დანავარდობდა ველ-მინდვრებში. გოგონებმა იგორის სახით ძმა შეიძინეს და სულითა და გულით შეიყვარეს.

თებრონე ქლენტმა ოფიციალურად იშვილა იგორი, მისცა ქმრის — [illegible] ქლენტის გვარი. ამიერიდან იგორი იწოდებოდა გიგო ნოეს ძე ქლენტად. იგი კომლის წევრი გახდა: ბიჭი სოფლის სკოლაში სწავლობდა, დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა. ამ დროს ბოლქვაძეების ოჯახს და გიგოს დიდი უბედურება დაატყდა თავს — ავტომანქანამ გაიტანა თებრონე ქლენტი.

ბიჭის სოფელში მარტო დატოვება არ შეიძლებოდა. ილია ბოლქვაძის ოჯახმა წამოიყვანა გიგო თბილისში, გორკის ქუჩაზე № 4 სახლში. ილია და მისი მეუღლე პლატონიდა საკუთარი შვილივით ზრდიდნენ ბიჭს და ცხოვრებისათვის ამზადებდნენ.

გიგომ მზრუნველობისათვის გულით შეიყვარა ისინი. პლატონიდას დედას ეძახდა, ილიას — მამას.

12/39

გიგო ქლენტი მუყაითი ყმაწვილი გამოდგა. ბავშვობიდანვე უყვარდა შრომა. საღამოს საშუალო სკოლაში სწავლობდა და დღისით მუშაობდა. კარგად დაეუფლა ზეინკლისა და ავტომძღოლის პროფესიებს.

გარდაიცვალა პატიოსანი მშრომელი ილია ბოლქვაძე. იგი მთელ ოჯახთან ერთად დატირა გიგო ქლენტმაც.

გიგო საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

მართალია, დიდი მზრუნველ-აღმზრდელები — თებრონე ქლენტი და ილია ბოლქვაძე დაკარგა გიგო ქლენტმა, მაგრამ მის გვერდით არიან დედა პლატონიდა ბოლქვაძე, სამი და — ნუნუ, ლონდა და ნათელა ბოლქვაძეები, ყურადღებას არ აკლებს ეკატერინე არუთინოვაც. ვუსურვებ მათ, აგრეთვე გიგო, ინგა და ნათია ქლენტებს, ბიძინა ახვლედიანს კეთილდღეობას, ბედნიერებასა და წინსვლას.

**ვახტანგ სიხარულიძე,**

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.



# გოგონებისათვის

14-15 წლის გოგონები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ჩაცმულობისადმი. ამ ასაკში მათ დიდი სურვილი აქვთ მიბაძონ უფროსებს, ჩქარობენ გახდნენ დიდები, დამოუკიდებლები. ამიტომ მათთვის ტანსაცმელი განსაკუთრებული გულისყურით უნდა შეარჩიონ მშობლებმა.

მოზარდის ტანსაცმელი, პირველ რიგში უნდა შეეფერებოდეს მის ასაკს, გარეგნობას და რაც მთავარია, ჯანიშნულებას. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქსოვილის სწორ შერჩევას. საბავშვო ტანსაცმლისათვის, როგორც წესი, გამოყენებული უნდა იქნას იაფფასიანი ქსოვილები. ბავშვები პატარაობიდანვე უნდა დავარწმუნოთ, რომ კარგი ჩაცმისათვის არ არის საჭირო ძვირფასი ქსოვილები და ბევრი ტანსაცმელი. რათა ეს მცდარი შეხედულება ჩაცმაზე ზოგიერთს მთელი ცხოვრების მანძილზე არ გაჰყვეს.

საბავშვო ტანსაცმელი ფორმით დიდ ცვლილებას არ განიცდის, მაგრამ მოდა მასზე გარკვეულ გავლენას მაინც ახდენს. მაგალითად, თანამედროვე მოდის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება — ასორტიმენტის ნაირსახეობა და კომპლექტურობა, გავრცელდა საბავშვო ტანსაცმელზეც. მოზარდის გარდერობი სასურველია გამდიდრდეს შარვლით, ჟილეტით, კაბა-სარაფანით, ქურთუკით, ბლუზონით, სვიტრით და სხვა, სადაც ყველა დეტალი ფერითა და ფორმით კარგად შეეხამება ერთმანეთს და საჭიროების შემთხვევაში შექმნის ანსამბლის სხვადასხვა ვარიანტს.

ლ. ჯვედელიძე



სახელმწიფო ბიბლიოთეკა



დუგლას ჯეროლდი

# ქალბატონი კოდლი ტუქსავს ქმარს

დუგლას ჯეროლდი (1803–1857) ინგლისელი დრამატურგი და იუმორისტია. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია „ქალბატონ კოდლის ლექციები“. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ნაწარმოებიდან.

მისტერ კოდლმა ქოლგა ათხოვა თავის მეგობარს და აი, ცოლის ლექციას ისმენს.

* * *

ეს უკვე მესამე ქოლგა გაქრა შობის აქეთ. მაშ, რა უნდა გექნა? წასულიყო წვიმაში. ღრმად დარწმუნებული ვარ, წასახდენი არაფერი ეცმებოდა. გაცივდებოდა, არა?.. არც ისეთია, რომ ცივდებოდეს. დაე, გაციებულიყო, ვიდრე ჩვენი ერთადერთი ქოლგა წაეღო. გესმის წვიმის ხმა, მისტერ კოდლ? ხომ ხედავ, როგორ წვიმს? თავს მოვიჭრი, თუ ეს წმინდა სუითინის დღე[1] არ იყოს. სისულელეა, ვერ მომატყუებ, რომ ასეთ თავსხმაში დაიძინებ. ხომ გესმის ჩემი ლაპარაკი? ხომ გესმის? ეს კარგა დიდი თავსხმა ექვს კვირას მაინც გასტანს და ამ ხნის განმავლობაში ცხვირსაც ვერ გაჰყოფს ადამიანი გარეთ. სულელი არ გეგონო. შეურაცხყოფას ნუ მაყენებ. რაო, დააბრუნებს ქოლგას? კაცს გუშინდელი ბალღი ეგონები. თითქოს ვინმეს ოდესმე დაებრუნებინოს ქოლგა. გესმის? ამინდი სულ უფრო და უფრო უარესდება. ძაღლიც არ კაიგდება გარეთ. ასე ექვს კვირას გასტანს და ამნაირ ამინდში უქოლგოდ!

ნეტავ ვიცოდე, როგორ წავლენ ხვალ ბავშვები სკოლაში. ასეთ ამინდში არ წავლენ, არა. გადაწყვეტილია, ისინი შინ ისხდებიან და არაფერსაც არ ისწავლიან. და მერე, როცა დაიზრდებიან, მაინტერესებს, ვის უნდა უმადლოდნენ თავიანთ უცოდინარობას? ვის, თუ არა თავიანთ მამას! მამები, რომლებიც საკუთარ შვილებზე არ ფიქრობენ, მამობის ღირსნი არ უნდა იყვნენ.

მაგრამ ვიცი, რატომაც ათხოვე ქოლგა. დიახ, ძალიან კარგად ვიცი. იცოდი, რომ ხვალ დედასთან მივდიოდი ჩაიზე და განგებ გააკეთე. თავი არ იმართლო. ჩემი ყურება, იქ რომ მივდივარ და ყოველგვარ ხრიკს მიმართავ ხოლმე, რომ ხელი შემიშალო. მაგრამ ნურას უკაცრავად, ბატონო, ქვეყანა რომ დაინგრეს, მაინც წავალ. არა, კებსაც არ დავიჭერ... როგორ ფიქრობ, საიდან უნდა მოდიოდეს ფული? თქვენს კლუბში ამაზე საკმაოდ დიდი აზრები გაქვთ. კები რამდენი დამიჯდება? სულ ცოტა თექვსმეტი პენსი. უკანაც ხომ უნდა დავბრუნდე! საინტერესოა, ვინ უნდა გადაიხადოს ფული? მე ვერ გადავიხდი, დარწმუნებული ვარ — არც შენ. და თუ ასე გააგრძელებ ქონების განიავებას, მათხოვრებად დაყრი ბავშვებს. გესმის, როგორ წვიმს, ბატონო კოდლ? გამიგონე, გესმის? მაგრამ რა მენაღვლება, მაინც წავალ დედასთან ხვალ, აუცილებლად წავალ. და აი, კიდევ რა: ფეხით წავალ ამ წვიმაში და კარგად იცი, რომ ეს ჩემთვის საბედისწერო იქნება. სულელს ნუ მეძახი, თვად ხარ სულელი. იცი, რომ იმ ხის ძირიან ფეხსაცმელებს ვერ ვატარებ, თანაც არც ქოლგა მაქვს. უთუოდ გავცივდები. მაგრამ შენ რა გენაღვლება? სრულიადაც არა. ლოგინად ჩავვარდები და მაშინ ხომ იზრუნებ ჩემზე? იმედი მაქვს, ექიმს ბლომად ფულს გადაუხდი. ეს გასწავლის, როგორ უნდა ქოლგის განათხოვრება. არ დარდობ, თუ მოვკვდები. დიახ, სწორედ ამიტომ ათხოვე ქოლგა.

ჩემს საუკეთესო ტანსაცმელს ჩავიცვამ და ისე წავალ ასეთ ამინდში. საღამოს კაბას და ქუდს კი კარგი დღე დაადგება. რაო, არ ჩავიცვა? დიახაც, ჩავიცვამ, მისტერ კოდლ! არა, ბატონო, შენი და შენისთანების საამებლად უგემოვნოდ ჩაცმული არ გავალ გარეთ. ღმერთმა იცის, რა იშვიათად ვაბიჯებ კარის ზღურბლს. მონობას ალარაფერი მიკლია; უკეთესიც იქნებოდა, მონა ვყოფილიყავი, მაგრამ სახლიდან რომ გავდივარ, ქალბატონივით უნდა გავიდე. ოჰ, ეს წვიმა ფანჯრებს მაინც არ შემოლეწავდეს!

ოჰ, რა შიშით ველი ხვალინდელ დღეს! არც კი ვიცი, როგორ წავიდე დედასთან. სულიც რომ განვუტევო, მაინც წავალ. არა, ბატონო, ქოლგას არც მე ვითხოვ და არც შენ იყიდი. იცი რა, თუ სახლში სხვა ქოლგას მოიტან, ქუჩაში ვისვრი. ან ჩემი ქოლგა ან არც ერთი.

ოჰ, გასულ კვირას გავაკეთებინე ქოლგის ახალი ბუნიკი, იხადე ფული ახალ ბუნიკებში, რომ მერე ხალხმა დაგცინოს. სულაც არ ფიქრობ შენს საცოდავ, ასეთ მომთმენ მეუღლესა და შვილებზე. არაფერზე არ ფიქრობ, გარდა იმისა, თუ როგორ ათხოვო სხვას ქოლგები.

კაცები, კაცები! თავიანთ თავს სამყაროს მეუფეებად რომ თვლიან. კარგი მეუფეები კი არიან, თუ საკუთარ ქოლგასაც ვერ უვლიან.

---

[1] **წმინდა სუითინის დღე — 15 ივლისი. ამბობენ, თუ ამ დღეს იწვიმა, წვიმა ორმოც დღეს გასტანსო.**

ვიცი, რომ ხვალ დედასთან წასვლა საბედისწერო იქნება ჩემთვის. მაგრამ შენ სწორედ ეს გნებავს — ხელი კლუბში და შენი გუნებისად მოიქცევი. მაგრამ ბავშვები? კარგი დღე კი დაადგებათ საწყლებს: შენ კი ბედნიერი იქნები. თავს ნუ იკატუნებ! გიცნობ, რა შვილიც ბრძანდები.

ხუთშაბათს გამოძახებაზე ხარ წასასვლელი. ცხადია, ვერ წახვალ, მართლაცდა, უქოლგოდ ხომ არ წახვალ. მაგრამ სესხის დაკარგვის ჯავრი მაქვს. თუმცა, ჯობია დაკარგო — ტანსაცმლის გაფუჭებაზე უარესი ხომ არ იქნება? ისინი, ვინც ქოლგას სხვას ათხოვებენ, სესხის დაკარგვის ღირსნი არიან.

ნეტავი ვიცოდე, როგორ უნდა წავიდე დედასთან უქოლგოდ? არ მითხრა, აკი თქვი არ წავალო? რომ არ წავიდე, დედა იფიქრებს, არაფრად მაგდებსო, და იმ მცირე თანხას, რომელიც უნდა მიგვეღო მისი სიკვდილის შემდეგ, ვეღარ მივიღებთ, თანაც ქოლგის გამო.

ახლა ბავშვები? საწყლები, მთლად დასველდებიან. შინ ხომ არ ისხდებიან — სწავლას თავს ხომ არ დაანებებენ? ისინი აუცილებლად წავლენ სკოლაში. არ მითხრა აკი თქვი, არ წავლენო? შენ ისეთი აბეზარი ხარ, რომ ანგელოზსაც წაუხდენ ხასიათს. ისინი ყოველმიზეზგარეშე წავლენ სკოლაში და თუ ეს საბედისწერო აღმოჩნდა მათთვის, ჩემი ბრალი არ იქნება. ქოლგა მე არ გამინათხოვრებია.

როგორც იქნა, ჩამეძინა — წერს ბატონი ქოდლი, — და დამესიზმრა, რომ ცა ვეშაპის ნეკნებზე გადაკრულ მწვანე ჩითის ნაჭრად გადაქცეულიყო. და მთელი სამყარო ამ ვეება ქოლგით იყო გადახურული.

**ინგლისურიდან თარგმნა**
**შალვა შაფთოშვილმა**



# უმისამართო ბარათები

დღეის შემდეგ ამ რუბრიკით ჟურნალში დაიბეჭდება წერილები, რომელთა ავტორებმა სხვადასხვა მიზეზის გამო არ მოისურვეს თავიანთი ვინაობისა და მისამართის გამხელა. რედაქცია ასეთ ბარათებს ხლომად ღებულობს. რაზე მოგვითხრობენ ისინი? ტკივილსა და სიხარულზე შიშსა და იმედებზე, გულგატეხილობაზე და აღფრთოვანებაზე. ადამიანები თავიანთ ცხოვრებაში გვახედებენ, გულს გვიშლიან, რჩევას გვეკითხებიან, ჩვენს განაჩენსელოდებიან. აყენებენ ზნეობრივ, ეთიკურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა ხშირად თვითონ არ ძალუძთ.

ეს ძალიან საინტერესო წერილებია და ჩვენ გადავწყვიტეთ, დროდადრო მკითხველებისათვის გაგვეცნო ზოგიერთი მათგანი (ალბათ, ჩვენს უცნობ კორესპონდენტებსაც ესა სურთ, როცა გვწერენ, „უმისამართო ბარათებში" მეტწილად საყოფაცხოვრებო ხასიათის წერილები დაიბეჭდება.

რედაქცია წინასწარ აცხადებს: შეიძლება, ჩვენ ყოველთვის და ყველაფერში არ ვიზიარებდეთ ავტორის აზრს, როცა მის წერილს ვაქვეყნებთ. მაგრამ საკითხი, რომელსაც ის აყენებს, საინტერესოდ, საჭიროროტოდ მიგვაჩნია. იქნებ, ამ წერილებმა ბევრი საკუთარ თავში ჩაახედოს, თავისი ნაკლის შეცნობაშიც დაეხმაროს, რაღაცაზე თვალი აუხილოს.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კეთილი და გულმხურვალე მკითხველი გამოეხმაურება გაჭირვებაში მყოფ ადამიანს: სანუგეშო სიტყვას შეაწევს, კეთილ რჩევას მისცემს, გაამხნევებს. ჩვენ სიამოვნებით დავუთმობთ ჟურნალის ფურცლებს ამ წერილებსაც.

# როგორ მოვიქცე?

ცამეტი წელია, რაც გათხოვილი ვარ და მგონია, ცამეტი თვეც არ ვყოფილვარ ბედნიერი. ძალიან ბევრი ჯანი შევალიე ოჯახის შექმნა-აწყობას. ჩემი ჯანი არ მენანება, მაგრამ იმის სინანული მკლავს, დაფასება რომ არა მაქვს.

ნამდვილად კარგი ოჯახი მაქვს, მაგრამ მეუღლე საყვედურებს მაინც არ მაკლებს. როცა მისი ახლობელ-ნათესავები გვესტუმრებიან, წელებზე ფეხს ვიდგამ, რომ კარგად შევხვდე, კარგად გავუმასპინძლდე. მათ კი თითქოს არც უხარიათ ჩვენი კარგად ყოფნა, გულ-გახსნილობას და კმაყოფილებას ვერასოდეს ვატყობ. ხშირად დავფიქრდები: ხომ არაფერი ვაწყენინე, ან უზრდელად ხომ არ მოვექეცი-მეთქი, მაგრამ — არა. განსაკუთრებით ჩემი მეუღლის ძმა და მისი ცოლი მიკლავენ გულს. როცა არ უნდა ვიყოთ ერთად, არ შეიძლება არ წამკინონ:

„ქალი რომ სამსახურში დადის და საზოგადოებაში ტრიალებს, ის ქალი არ შეიძლება წესიერი იყოსო".

მე თავი მომწონს სამსახურში პატიოსანი შრომით. თანამშრომლებშიც ავტორიტეტი და დაფასება მაქვს. ჩემს მეუღლეს ყანათლება არ აკლია, ორი ტექნიკუმი აქვს დამთავრებული. ორივე ერთ საწარმოში ვმუშაობთ და თვეში ერთად 180-200 მანეთამდე ხელფასი გვაქვს. ამ თანხით გვიხდება ოჯახის რჩენა, მტერ-მოყვარის გასტუმრება.

ჩემი მაზლი კი ხელოსანია, კერძო სამუშაოც აქვს და ფულს კარგად შოულობს. მის ცოლს არასოდეს უმუშავნია.

ჩემი მეუღლე თავის საკუთარ ოჯახსა და მდგომარეობას კი არ უწევს ანგარიშს, არამედ ძმისა და რძლის სიტყვებს. თავისიანებს რომ ესტუმრება, იქიდან დაბრუნებული, აბუჩად მიგდებს, უმიზეზოდ მლანძღავს. ის არც ოჯახზე ფიქრობს, არც შვილების მომავალზე. საერთოდ, აინუნშიც არ მოსდის ჩვენი ოჯახის ავი და კარგი.

ყველაფერი ამის გამო ბევრს ვნერვიულობ. არ ვიცი, რით მოვუგო გული ქმარსა და მის ნათესავებს. ორი ბავშვი მყავს, ვიცი, გაიზრდებიან და საყვედურს მეტყვიან — რატომ მეტი არ დაგვტოვეო. მე კი ქმარსა და მაზლს შევყურებ თვალებში, როგორ შევურჩიო მომენტი, როდის ვნახო ისინი ნორმალურ მდგომარეობაში, რომ მესამე შვილის გაჩენის ნება მომცენ.

არ იფიქროთ, ქმარს ჩემს სიკეთეს არ ეუბნებოდნენ მეზობლები და თანამშრომლები. ხშირად მაქებენ, ეუბნებიან: რა ბედნიერი კაცი ხარ, ასეთი გამრჯე და პატიოსანი ცოლი რომ გყავსო. მაგრამ ის მარტო თავის ძმასა და რძალს უწევს ანგარიშს, სხვას არავის.

ჩემს სახელს ვერ ვწერ, წაიკითხავენ ისინი და უფრო გამამწარებენ, ძვირფასო ადამიანებო, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, რით შევიცვალო მდგომარეობა?

**ბ. ი.**

**თბილისი,**

# მაქვს თუ არა უფლება გამოვექომაგო?

სამი წლის წინ საშუალო სკოლა ოცდაშვიდმა ბავშვმა დავამთავრეთ. ყველაზე გამორჩეული ჩვენს შორის იყო ერთი საამო, კეთილი, სხარტი გოგონა. ის კარგად სწავლობდა, სკოლის ყველა საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა და ყოველთვის მხარში ედგა ჩამორჩენილ ამხანაგებს. სკოლის მერხიდან დაწყებული, ჩვენი მეგობრობა შემდეგაც გაგრძელდა. ერთ წარმოებაში მოგვიხდა მუშაობის დაწყება, სწავლაც ერთ ინსტიტუტში გვინდოდა გაგვეგრძელებინა.

მაგრამ, გავიდა ხანი და შევამჩნიე, რომ ჩემი ამხანაგი ძალიან შეიცვალა: გაუქრა წინანდელი მხიარულება, ხალისი, მისმა ლამაზმა თვალებმა დაკარგეს ელვარება. მე წარმოებაში კომკავშირის კომიტეტის მდივ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მოადგილედ აირჩიეს. ჩემი მეგობარიც რომ არ ყოფილიყო, მაინც მოვალე ვიყავი ჩავძიებოდი, რა იყო მისი ასე გამოცვლის მიზეზი. რომ ჩავკითხე, ავადმყოფობა მოიმიზეზა და გული არ გამიხსნა. მალე სამსახურში სიარულიც მიატოვა. (ის მდივან-მემანქანედ მუშაობდა ჩვენთან). რომ მოვიკითხე, მითხრეს: ავად იყო და თბილისში წაიყვანესო. მაგრამ წარმოებაში ყური მოვკარი ჭორებს, თითქოს ჩემი ამხანაგი უზნეო ქალი იყო და ინტიმური კავშირი ჰქონდა ჩვენს დირექტორთან (42 წლის მამაკაცთან, რომელსაც ოჯახი აქვს და სამი შვილი ჰყავს). მე, რა თქმა უნდა, ამხანაგს გამოვექომაგე და სასტიკი შეტაკება მომიხდა ზოგიერთ თანამშრომელთან. ვერ დავიჯერე ეს ამბავი, ბავშვობიდან ვიცნობდი და ვიცოდი, რა უმწიკვლო გულის და სათნო ზნის გოგო იყო.

ორი თვის შემდეგ დაბრუნდა უკან. ახლა მასზე უკვე ხელაღებით ჭორაობდნენ. ერთხელ დავიმარტოხელე და ჩავეძიე. ყველაფერში გამომიტყდა. მითხრა, რომ უბედურია და თვითმკვლელობაზე ფიქრობს, რადგან ბოროტმა მამაკაცმა შეაცდინა, ახლა კი ცდილობს დაამციროს და ქუჩაში გააგდოს, თუმცა ჩემს ამხანაგს არც უფიქრია დაენგრია მისთვის ოჯახი ან შეელახა მისი ავტორიტეტი და რაიმე საამკაროზე გამოეტანა.

მე იმ გოგონასთან მეგობრობა არ შემიწყვეტია. პირიქით, ახლა მტკიცედ ვუდგევარ გვერდში და რაც შემიძლია, ვუმსუბუქებ მდგომარეობას. მაგრამ მიკვირს, რომ ჩვენს წარმოებაში არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელსაც ვაჟკაცობა ეყოფოდა და პირში ეტყოდა საკადრისს ჩვენს უფროსს. ზურგს უკან კი ძვირი აძაგებს და აგინებს, მაგრამ არც ჩემს ამხანაგს ინდობენ და ლამის თავი მოაკვლევინონ 21 წლის ქალიშვილს.

განა თანამშრომლები უფროსისგან ასეთ მაგალითს უნდა იღებდნენ? განა ღირსია ჩვენი დირექტორი ასეთი თანამდებობისა? მე მინდოდა მისი უღირსი საქციელი კომკავშირის კრებაზე გამეტანა, მაგრამ მაქვს კია ამისი უფლება?

ახლა თქვენი აზრი მაინტერესებს.

**დ. ხ.**

# როგორ დავაწყნარო ოჯახი?

ოცი წლის წინათ ცოლად გავყევი რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტს. მე თვითონ ახალი დამთავრებული მქონდა უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი და ვმუშაობდი. ვცხოვრობდით ღარიბულად, მულთან ერთად 9 კვ მეტრ ოთახში, მაგრამ თანხმობითა და კმაყოფილებით. ერთი წლის შემდეგ გოგო შეგვეძინა და ერთმანეთის დახმარებით წამოვზარდეთ.

სანამ სტუდენტი იყო, ჩემი მეუღლე ძალიან კარგ ხასიათს იჩენდა. მაგრამ დაამთავრა ინსტიტუტი და შევატყვე, რომ ცოტა გაამაყდა. მან მუშაობა დაიწყო სამუშაოთა მწარმოებლად. ამ ხანებში შეგვეძინა მეორე გოგონა და პირველად სწორედ მაშინ იჩინა ჩემი მეუღლის უხასიათობამ თავი, რადგან მას გოგო კი არა, ბიჭი უნდოდა.

ამასობაში ჩემმა მეუღლემ ერთ საპატიო დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა ინსტრუქტორად. ერთოთახიანი ბინაც მივიღეთ. მე დროებით სამსახურს თავი დავანებე, რადგან ორ მცირეწლოვან ბავშვს მოვლა უნდოდა. ქმარი უკვე აღარაფერზე ხელს არ მიკიდებდა. გადიდგულდა, გაამაყდა. სახლში ხშირად მთვრალი მოდიოდა. მლანძღავდა, მეჩხუბებოდა და ამის მოწმე მთელი ეზო იყო.

შემდეგ ის უფრო საპასუხისმგებლო ადგილზე გადაიყვანეს, მოგვცეს ოროთახიანი ბინა. მე საბავშვო ბაღში დავიწყე მუშაობა და შვილები ჩემთან მყავდნენ, ქმრის თხოვნით, მესამე ბავშვიც გავაჩინე, მაგრამ ისევ გოგო მეყოლა.

ამან სულ გააგიჟა ჩემი ქმარი. ახლა ის ნანობს ჩემს შერთვას. თუმცა სამი მშვენიერი, ჯანმრთელი და ნიჭიერი გოგონა ჰყავს 18, 15 და 8 წლისა. ბავშვები სულ თვალებში მისჩერებიან მამას — რა ესიამოვნებაო, ის კი სულ მიზეზზეა, ქალებს არაფრად არ თვლის, აჯღანებს და ილანძღება. ვაი ჩვენს დღეს, თუ საბაბიც იშოვნა. თუ ყოველდღე შარვალი, პერანგი და ფეხსაცმელი ისე არ გავუწმინდეთ და გავუუთოვეთ, როგორც მას უნდა, შეიძლება ყველაფერი თავზე დაგვამტვრიოს! თვითონ, როგორც კი მოვა სახლში, ჩამოწვება, ან ძინავს, ან გაზეთს კითხულობს, ან ტელევიზორს უყურებს. ვინც მას შორიდან იცნობს, ალბათ, კარგი ჰგონია, რადგან გარეთ სულ იცინის, სახლში კი მუდამ გამეხებულია. სულ ჩემს სიკვდილს ნატრობს, ჰგონია, რომ თუ მეორე ცოლს შეირთავს, ბიჭი ეყოლება. მე კი აწი აღარც ბიჭი მეყოლება და აღარც გოგო — უკვე საკმაო ხნისა ვარ.

არ ვიცი, მეშველება რამე? — თუ ხასიათი არ გამოიცვალა, მასთან აღარ მეცხოვრება. როგორ დავანგრიო ოჯახი სამი ქალიშვილის პატრონმა? არადა, ჩვენი ურთიერთობა ბავშვებზეც ხომ მოქმედებს?

**რედაქციისგან: ჩვენო უცნობო მკითხველო. ალბათ, თქვენს ქმარს არ წაუკითხავს ჩვენს ჟურნალში 1968 წ. სექტემბერში გამოქვეყნებული ექიმ გოსლერნერის სტატია „ვაჟია თუ ქალი?" სადაც მეცნიერების მიერ დადგენილი ფაქტი იყო განმარტებული. კერძოდ: ბავშვის სქესი დამოკიდებულია მხოლოდ მამაზე.**

# ნერვულ-ართრიტული დიათეზი

ნერვულ-ართრიტული დიათეზი თავისი გამოვლინებით (პოდაგრა, შაკიკი და სხვა) მედიცინაში უძველესი დროიდან იყო ცნობილი და უპირატესად მოზრდილ ადამიანთა დაავადებად მიაჩნდათ.

ამჟამად დადგენილია, რომ ნერვულ-ართრიტული დიათეზით ავადდებიან სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვები (არარაციონალური კვებისა და არასწორი აღზრდის გამო).

ამ დაავადებას მემკვიდრეობითი ფაქტორიც განაპირობებს. დამტკიცებულია, ნერვულ-ართრიტული დიათეზით შეპყრობილ ბავშვებს შთამომავლობაში და ოჯახის წევრთა შორის ართრიტიზმის გამოვლინებანი აღენიშნებათ პოდაგრის, შაკიკის, გადაჭარბებული სიმსუქნის, ნევრალგიის და კენჭოვანი დაავადებების სახით.

ნერვულ-ართრიტული დიათეზის გამომჟღავნება ძირითადად კვების რეჟიმის დარღვევის დროს ხდება. მავნებელია ბავშვის მომეტებული კვება, განსაკუთრებით ხორცეულის, შოკოლადის და პურინული ნივთიერებებით მდიდარი საკვების (ღვიძლი, თირკმელი, ლობიო, მჟაუნა) ჭარბი რაოდენობით მიღება. ჯერ კიდევ ძველად მიაჩნდათ, რომ ჭარბი კვება ხელს უწყობს დიათეზის განვითარებას, ამიტომ ამ დაავადებას „კარგი ცხოვრების სასყიდელს" ან „მდიდართა დაავადებასაც" კი უწოდებდნენ.

ნერვულ-ართრიტულ დიათეზს საფუძვლად ნივთიერებათა ცვლის პროცესების, კერძოდ ე. წ. პურინული ცვლის მოშლა უდევს.

ნივთიერებათა ცვლის პროცესების დარღვევა ბავშვის ორგანიზმზე მავნედ მოქმე-

დებს, რაც ცენტრალური ნერვული სისტემის და შინაგანი ორგანოების ფუნქციის დარღვევაში გამოიხატება.

ცენტრალური ნერვული სისტემის აწეული აგზნებადობა ჯერ კიდევ ძუძუთა ასაკში შეინიშნება.

ასეთი ბავშვები ზედმეტად მგრძნობიარენი, მოძრავნი და ჭირვეულნი არიან. უმიზეზო ტირილს ადვილად სცვლის სიცილი. ზედმეტად ცნობისმოყვარენი ხდებიან, გარემო პირობებისადმი მომეტებულ ინტერესს იჩენენ. მეტყველებას ადრე იწყებენ. გონებრივადაც და ფსიქიურადაც კარგად ვითარდებიან. სკოლამდელ ასაკში ადვილად იმახსოვრებენ მოსმენილ ზღაპრებსა და ლექსებს, ხშირად თანატოლებთან თამაშს მოზრდილთა საზოგადოებაში ყოფნა და მათთან საუბარი ურჩევნიათ, რითაც ინტელექტუალურად ნაადრევად მომწიფებულ შთაბეჭდილებას სტოვებენ. უმეტესობა სკოლაში კარგად სწავლობს. ზოგიერთი მათგანი კი განსაკუთრებულ მუსიკალურ ნიჭს ამჟღავნებს. მშობლები ბავშვის საქციელში ზედმეტ ნიჭიერებას ხედავენ და კიდევ უფრო მეტად უწყობენ ხელს მის ინტელექტუალურ განვითარებას, რითაც მნიშვნელოვან შეცდომებს უშვებენ: დამატებით ტვირთავენ სკოლისგარეშე მეცადინეობით (უცხო ენა, მუსიკა), ამარაგებენ ასაკისათვის შეუფერებელი ლიტერატურით, დაჰყავთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, კინოებსა და თეატრებში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ცენტრალური ნერვული სიტემის აღგზნებადობას, ამას მოსდევს ბავშვის სწრაფი გადაქანცვა, რასაც თან ახლავს ღამის შიშები, ღამის უნებლიე შარდვა და უნებლიე მოძრაობანი.

დიათეზით შეპყრობილი ბავშვები ფიზიკური განვითარებით თანატოლებს ჩამორჩებიან, უპირატესად გამხდარი, ნაზი, ფერმკრთალი არიან. ძირითადი მიზეზი, რის გამოც მშობელი ექიმს მიმართავს, ბავშვის უმადობაა. მიუხედავად მშობლის ყოველმხრივი მონდომებისა, მრავალფეროვანი საკვების მომზადებისა, მადის გაუმჯობესება თითქმის შეუძლებელი ხდება. ამიტომ მშობლები ზოგჯერ ძალდატანებით კვებავენ ბავშვებს, რაც იწვევს პირღებინებას. ასეთი ბავშვები წონაში ცუდად მატულობენ და მიდრეკილებას იჩენენ ყაბზობისაკენ.

ზოგ შემთხვევაში ნერვულ-ართრიტული დიათეზი ბავშვებში მოჭარბებული სიმსუქნით ვლინდება.

მოზრდილ სასკოლო ასაკში ართრიტიზმის გამოვლინებანი უფრო მრავალმხრივი და ტიპიურია: უმიზეზო და ხშირად ხანგრძლივი სიცხიანობა (ტემპერატურა მერყეობს 37°-37,5°-მდე), პერიოდული ძლიერი თავის ტკივილები, ნევრალგიები და შეტევითი ხასიათის მუცლის ტკივილები.

ნერვულ-ართრიტული დიათეზის ყველაზე უფრო სერიოზული გამოვლინება ხანგრძლივი და შეუჩერებელი პირღებინებაა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მოულოდნელად იწყება და რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე (1-2 დღე) გრძელდება. შესაძლებელია ღებინებას წინ უძღოდეს მადის მკვეთრი დაქვეითება, ბავშვის მომეტებული აღგზნებადობა, თავისა და მუცლის ტკივილები. ამონაღებს აცეტონის სუნი აქვს, შარდში აცეტონის მომატება აღინიშნება (ამიტომაც უწოდებენ აცეტონურ პირღებინებას). მისი ხელშემწყობი მიზეზებია: ბავშვის განცდები, გადაღლა და კვების რეჟიმის დარღვევა.

აღსანიშნავია, რომ ართრიტიზმისათვის დამახასიათებელია ალერგიული სახის გამოვლინებანიც. ზოგჯერ ბავშვებს აღენიშნებათ იდიოსინკრაზია სხვადასხვა პროდუქტებისადმი, როგორიცაა: კვერცხი, ხენდრო, თევზი და სხვა. შედარებით მოზრდილი ასაკის ბავშვებში, ექსუდაციური დიათეზისაგან განსხვავებით, ჭინჭრისციების მაგვარი ხასიათის გამონაყარს და მშრალი ეგზემისა და ნეიროდერმიტის გამოვლინებებს ვხვდებით.

დადგენილია, რომ ართრიტიზმით შეპყრობილი ბავშვები მიდრეკილებას იჩენენ შაქრიანი დიაბეტის, კენჭოვან დაავადებათა და გადაჭარბებული სიმსუქნისადმი, რაც განსაკუთრებით სქესობრივი მომწიფების პერიოდში შეინიშნება.

ნერვულ-ართრიტული დიათეზის პროფილაქტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ბავშვის აღზრდის მეთოდებისა და კვების პრინციპების შემუშავებას ენიჭება.

ნერვული-ართრიტული დიათეზით შეპყრობილი ბავშვი მშვიდ, წყნარ გარემოცვაში უნდა იზრდებოდეს. აღზრდის სწორი რეჟიმი ადრეული ასაკიდან უნდა შევუმუშავოთ, რადგან ამ პერიოდში მიღებულ ჩვევათა გამოსწორება შემდგომში საკმაოდ ძნელია. შეკავებითი პროცესების გამომუშავების მიზნით ბავშვს არ უნდა შეუსრულოთ ყველა სურვილი და მოთხოვნა. მოვარიდოთ შთამბეჭდავ წიგნებსა და სანახაობებს, ავუკრძალოთ მოზრდილთა საზოგადოებაში ყოფნა და მათი საუბრების მოსმენა. სასურველია, ასეთი ბავშვები ბავშვთა კოლექტივში (ბაგა, ბაღი) იზრდებოდნენ. მშობელი არ უნდა გაიტაცოს ბავშვის ნიჭიერებამ. გვახსოვდეს, რომ სკოლისგარეშე დამატებითი დატვირთვა (უცხო ენა, მუსიკა) ხშირად ბავშვის გადაღლას იწვევს, რასაც თავის ტკივილები, უძილობა და შესაძლებელია, მეხსიერების დაქვეითებაც კი მოჰყვეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ბავშვის კვება. საკვებ რაციონში შევზღუდოთ ხორცის, კვერცხის და, განსაკუთრებით, პურინებით მდიდარი საკვების მიღება. ბოსტნეულიდან რეკომენდებული არ არის ისპანახი, ლობიო და მჟაუნა. მინიმუმამდე უნდა შემცირდეს ტკბილეულისა და ცენტრალური ნერვული სისტემის აღმგზნები საშუალებების (შოკოლადი, კაკაო და სხვა) მიღება. ართრიტულ დიათეზიანი ბავშვებისათვის მიზანშეწონილია უპირატესად ვეგეტარიანული საკვებისა და რძის პროდუქტების მიღება. ნახშირწყლებით მდიდარი საკვები (პური, ფაფეული და სხვა) დასაშვებია ზომიერი რაოდენობით, აუცილებელია კვების საათების დაცვა. საკვები მცირე ულუფებად უნდა ვაძლიოთ. ძალდატანება და საკვების გადაჭარბებით მიცემა ასეთ ბავშვებში მხოლოდ უარყოფით ემოციებს იწვევს.

მადის გაუმჯობესების მიზნით კარგია ბავშვს მიეცეს ნატურალური კუჭის წვენი, მარილმჟავა პეპსინთან ერთად და ვიტამინების კომპლექსი. ამ პრეპარატების მიცემის ხანგრძლივობას განსაზღვრავს ექიმი. ხშირად კარგ ეფექტს იძლევა მინერალური წყლები (ბორჯომი, ესენტუკი). ეს წყლები უზმოზე, ჭამის წინ 15 წუთით ადრე უნდა მიიღონ. ცენტრალური ნერვული სისტემის გავარჯიშების თვალსაზრისით მიზანშეწონილია წყლის პროცედურების (თბილი აბაზანა, შხაპი და სხვა) ჩატარება. დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ორგანიზმის ფიზიკურ წრთობას.

**ნ. მანჯავიძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# სიფრთხილეა საჭირო

მცენარეები თავისი სილამაზით იზიდავს ადამიანს. მათი სურნელი სიამოვნებას გვგვრის, მაგრამ ამ ლამაზ, სურნელოვან მცენარეებთან სიფრთხილეა საჭირო, თორემ. .

ყველას დაგინახავთ, როგორ მოუწყვეტია ვინმეს ბალახი და პირში ჩაუდვია კბილის გამოსაწმენდად, შენც ხშირად წასტანებიხარ ბალახს, მოგიწყვეტია და უდარდელად გაგიღეჭია. მაგრამ პაწაწინა, ერთი შეხედვით უვნებელ ბალახს, ხშირად ზიანი მოაქვს ადამიანებისათვის. ბალახის გაღეჭვის შედეგად შეიძლება ადამიანს დაემართოს ეგრეთწოდებული აქტინომიკოზი, რომელიც ხშირად მსხვილფეხა პირუტყვსაც უჩნდება ბალახის ჭამის შედეგად, ქვედა ყბაზე, აქტინომიკოზი იწვევს ბალახის წვენის შეჭრის ადგილას ძვლის გამოზრდას, მასში ფისტულას (შეუხორცებელ წყლულს), საიდანაც ჩირქი იწყებს დენას.

ამ დაავადების საწინააღმდეგოდ არსებობს მრავალი წამალი, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში იკურნება დაავადებული, საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევა. სამწუხაროდ ეს ქირურგიული ჩარევაც ყოველთვის არ მთავრდება დაავადებულის განკურნებით.

**ნინო კობიაშვილი.**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

## ახალგაზრდობის ასაკი

# ფერისმჭამელები

ფერისმჭამელები კანის გავრცელებული დაავადებაა, რომელიც მეტწილად 14—15 წლის გოგონებსა და ვაჟებს უჩნდებათ და ზოგჯერ 25—30 წლის ასაკამდეც მიჰყვებათ ხოლმე.

ფერისმჭამელები ჩვეულებრივ ცხიმიან კანზე ჩნდება. კანის ჭარბცხიმიანობას კი ცხიმის ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა იწვევს. მომწიფების ასაკში ზოგჯერ ცხიმის ჯირკვლები დიდდება და მათი ფუნქცია ძლიერდება. როგორც ცნობილია, კანის ცხიმს ბაქტერიოციდული თვისებაც აქვს. ჭარბცხიმიანობის — სებორეის დროს კი ცხიმის ქიმიური შემადგენლობა იცვლება, მისი ანტიბაქტერიული თვისებები ქვეითდება და ცხიმის ჯირკვლების სადინარებსა და თმის ფოლიკულებში ზოგჯერ ანთებითი პროცესის განვითარებას იწვევს.

ცხიმიანი სებორეის დროს კანი პრიალა, უხეში და უსწორმასწორო ხდება, ასეთ კანს ადვილად ეკვრის მტვერი, რის გამოც ის რუხ-ჭუჭყის ფერს იღებს, თმის ფოლიკულებისა და ცხიმის ჯირკვლების შესართავი ფართოვდება და რუხი-შავი ფერის საცობები ჩნდება, რომელსაც კომედონები ეწოდება.

გარდა ცხიმიანი სებორეისა, ფერისმჭამელების გაჩენის ძირითადი მიზეზებია: შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებისა და ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, ქრონიკული ყაბზობა, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ფიზიკური და ნერვული გადაღლა, სისხლნაკლებობა, ცხვირის, პირის ღრუსა და ყელის ე. წ. ფოკალური ინფექცია და სხვა. გარეგანი ფაქტორებიდან ფერისმჭამელების განვითარებას ხელს უწყობს კანზე ნავთის პროდუქტების და სხვა გამაღიზიანებელი ქიმიური შენაერთების მოხვედრა, იოდის და ბრომის პრეპარატების, ალკოჰოლის, მწარე, მჟავე, ჭარბცხიმიანი და ნახშირწყლებიანი საკვების, ტკბილეულის, ყავისა და კაკაოს ხშირი მიღება და სხვა. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს კანის ქაეილი და ჰიგიენური რეჟიმის დარღვევა.

ფერისმჭამელები შეიძლება იყოს შავი, თეთრი, კვანძოვანი, ანთებითი და ჩირქოვანი. გამონაყარი ძირითადად ჩნდება სახეზე, ზოგჯერ ზურგის, გულმკერდისა და მხრების არეებშიც.

დაავადების დასაწყისში კანზე შავი წერტილები ჩნდება, რომლებიც ცხიმის ჯირკვლების სადინარებს აცობს და ამ სადინარებში არსებული ჩირქმბადი მიკრობები ჯირკვლების ირგვლივ მდებარე ქსოვილის ანთებას იწვევს. ჩნდება მოწითალო მაგარი კვანძები წვრილ-წვრილი ჩირქოვანი ბუშტუკებით. შემდეგ ბუშტუკებიდან კანზე სისხლოვანი ჩირქი გამოიყოფა და ბოლოს, კვანძების ადგილას, მათი შეხორცების შემდეგ, პიგმენტური ლაქები და ნაწიბურები რჩება. ზოგჯერ (ეს უფრო ვაჟებს ემართებათ) ასეთი უხვი გამონაყარი ერთიანდება, წარმოიქმნება დიდი, ღრმა კვანძების გროვა, რომლის შეხორცებაც ღრმა ნაწიბურების გაჩენას იწვევს. ავადმყოფები ხშირად ამ კვანძებიდან ჩირქგროვებს ფრჩხილებით გამორწყავენ, ეს კი ყოვლად დაუშვებელია, რადგან მეორადი ინფექცია კიდევ უფრო ღრმად მდებარე ქსოვილში შეიჭრება და მისი შეხორცებისას უფრო უხეში ნაწიბურები რჩება.

ახალგაზრდები თვლიან, რომ ისინი სახეზე ამ გამონაყარისა და ნაწიბურების არსებობის გამო, მეტად ულამაზოდ გამოიყურებიან, რისთვისაც საზოგადოებას გაურბიან, რაც კიდევ უფრო აღიზიანებს მათ ნერვულ სისტემას. ეს უკანასკნელი კი ხელს უწყობს დაავადების კიდევ უფრო გაძლიერებას.

როგორ ავიცილოთ ფერისმჭამლების გაჩენა? ამ შემთხვევაშიც უთუოდ გადამწყვეტი როლი ენიჭება პროფილაქტიკას. ჭარბ-ცხიმიანობის შემჩნევისთანავე ყურადღება მიაქციეთ კანის სწორ მოვლას. პირი აუცილებლად ყოველდღე დაიბანეთ თბილი წყლით, იხმარეთ გამშრობი საპონი — (გლიცერინის, გოგირდ-კუპრის, ბორ-თიმოლისა და სხვა). პირს რომ დაიბანთ, სახეზე ცივი წყალი შეისხით. კანზე ჩირქოვანი გამონაყრის გაჩენის შემთხვევაში კი, პირიქით, უკეთესია რამდენიმე დღე პირი სულ არ დაიბანოთ, რადგან წყალი ხელს უწყობს ჩირქოვანი ინფექციის კანზე მოთესვას. დღეში 2—3 ჯერ ცხიმიანი კანი გაისუფთავეთ 1-პროცენტიანი სალიცილის სიმჟავის, რეზორცინის, სინტომიცინის ან ლევომიცეტინის სპირტიან-ეთერიანი ან სპირტიან გლიცერინიანი ხსნარით სპირტიანი ლოსიონით ან 2-5-პროცენტიანი ქაფურის სპირტით. შავი საცობების გასაწმენდად კოსმეტოლოგიურ სამკურნალოს მიმართეთ.

კანის ძლიერი ცხიმიანობისას ასევე რეკომენდებულია ე. წ. „მარილის პროცედურები", საპნის ქაფში დასველებულ ბამბის ტამპონს მოაყარეთ მარილი და წრიული მოძრაობით 1-2 წუთის განმავლობაში კანში შეიზილეთ. შემდეგ პირი დაიბანეთ. ასეთი პროცედურა შეიძლება კვირაში 2-3 ჯერ გაიმეოროთ. კანის გასუფთავება ლიმონის წვენში დასველებული ბამბითაც შეიძლება. ხოლო ოდეკალონის ხშირი გამოყენება ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ არის, რადგან ის სახეზე მუქ ლაქებს აჩენს. კარგია სახის ბორჯომის წყლით ან სოდიანი ხსნარით (1 სუფრის კოვზი 1 ლიტრ წყალზე) დაბანა. სახლიდან გამოსვლის წინ სახეზე შეიძლება კრემ-ჟელეს გადასმა („სნეჟინკა", „ლიმონის", „ანტიუგრინი", „კრასნაია მოსკვა", „სევერნი" და სხვა). ასევე რეკომენდებულია მშრალი პუდრის გამოყენება. დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტურ და სწორ ჰიგიენურ რეჟიმს —ჰაერზე ყოფნას და ფიზიკურ ვარჯიშს. ეს ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კუჭ-ნაწლავის რეგულარულ მოქმედებას. საკვებ რაციონში უპირატესობა რძის პროდუქტებს, ცილოვან საკვებსა და ბოსტნეულს, განსაკუთრებით კი ჭარხალს და სტაფილოს უნდა ჰქონდეს. კარგია ლუდის საფუარის მიღება, რადგან ის ვიტამინ ბიოტინს შეიცავს.

თუ კანზე ლაქები, კვანძები და ჩირქგროვები უკვე გაჩნდა, არავითარ შემთხვევაში არ დაიწყოთ თვითმკურნალობა, ამ შემთხვევაში ვერც კოსმეტოლოგი გიშველით. უეჭველად მიმართეთ ექიმს, რადგან ყველაზე უფრო ეფექტურად კომპლექსური მკურნალობა მოქმედებს, რომელიც ფერისმჭამლების გაჩენის მიზეზების დადგენის მიხედვით ინიშნება.

ამჟამად დერმატოლოგთა და კოსმეტოლოგთა განკარგულებაში უამრავი ეფექტური საშუალებაა ამ დაავადების განსაკურნავად.

**ლუბა შეწირული,**

**კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.**

### უბედური შემთხვევების ციკლიდან

# შხამიანი გველის ნაკბენი

ჩვენში, საქართველოში შხამიანი გველის ნაკბენის შემთხვევები არც თუ იშვიათია. ამიტომ ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს გველის ნაკბენის პირველადი სამედიცინო დახმარების აუცილებელი წესები და მეთოდები და შეძლოს აგრეთვე შხამიანი გველის გამოცნობა.

შხამიან გველებს კისრიდან შესამჩნევად გამოყოფილი თავი და თავზე თავისებური იეროგლიფური გამოსახულება აქვთ, უშხამოებისაგან განსხვავებით, ზურგზე კლაკნილი ზოლი გასდევთ, თვალის გუგა ელიფსური ფორმისა აქვთ, არაშხამიან გველს კი — მრგვალი და სხვა. შხამიან გველს ზედა ყბაზე აქვს შხამის გამტარი კბილები (თითო კბილი თითოეულ მხარეს).

გველის შხამი გამჭვირვალეა, შეიძლება იყოს ჩალისფერი ან მომწვანო ფერისა. სუნი და გემო არა აქვს, კარგად იხსნება წყალში. მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით კარგავს შხამის თვისებებს.

გველის შხამში შედის მთელი რიგი ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც შხამავენ ცენტრალურ ნერვულ სისტემას, სისხლს, სისხლმბად ორგანოებს, გულის კუნთს,

ღვიძლს, ფილტვებს, პანკრეასს, თირკმლებს, მამოძრავებელი ნერვების დაბოლოებებს და იწვევენ მთელ რიგ ღრმა პათოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც არც თუ იშვიათად ადამიანისა თუ ცხოველის სიკვდილით მთავრდება.

შხამიანი გველის ნაკბენის დროს ზოგადი ხასიათის მოვლენები ხასიათდება მრავალფეროვნებით და დამოკიდებულია შხამის მოქმედების სიძლიერეზე, მაკროორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე, ჭრილობის ადგილმდებარეობაზე, ქსოვილის დაზიანების ხასიათზე და ორგანიზმში მოხვედრილი შხამის რაოდენობაზე.

დადგენილია, რომ გველი ჭამის დროს შხამის ნაწილს კარგავს, ამიტომ მაძღარი შხამიანი გველის ნაკბენი ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე მშიერისა.

შხამის მოქმედების სიძლიერე დამოკიდებულია აგრეთვე გველის ასაკზე და წლის დროზე. მაგალითად, გველი უფრო შხამიანია გაზაფხულზე და ზაფხულის პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ გველის შხამისადმი ნაკლებ გამძლეობას იჩენენ ბავშვები და მოხუცები, ვიდრე მოზრდილი და შუახნის ადამიანები. თანაც ვაჟები უფრო გამძლენი არიან, ვიდრე ქალები.

კბენისთანავე ნაკბენი ადგილი წითლდება, 3-5 წუთის შემდეგ იწყებს თანდათანობით შეშუპებას, ზოგჯერ ნაკბენის ირგვლივ სისხლჩაქცევები ჩნდება, ქსოვილი მოლურჯო-მოშავო აჭრელებულ ფერს იღებს, ნაკბენი ადგილი ცივი და ხშირად უმტკივნეულოა.

ზოგადი მოვლენების განვითარება იწყება კბენიდან დაახლოვებით 10-12 საათის შემდეგ. ავადმყოფებს ეწყებათ: საერთო სისუსტე. შემცივნება, სხეულის ტემპერატურა 39-40°-მდე აღწევს (ზოგჯერ ტემპერატურა შეიძლება იყოს ნორმაზე დაბალი), თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულისრევა, იშვიათად სისხლიანი პირღებინება, გაძლიერებული ნერწყვის დენა, ცივი ოფლი, ცრემლის დენა. ავადმყოფს უჭირს ლაპარაკი, ყლაპვა, რასაც შეიძლება მოყვეს ენისა და ხორხის დამბლა. პარალელურად ვითარდება პათოლოგიური მოვლენები გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ: ქოშინი, გულის ფრიალი, აჩქარებული გულის და პულსის ცემა, ციანოზი (სილურჯე) და გულის მუშაობის მწვავე ნაკლებობის (კოლაპსის) ნიშნები, სუნთქვა ზერელე და ჩქარი ხდება, ირღვევა სუნთქვის რიტმი, ზოგჯერ კი სუნთქვა სავსებით წყდება (სუნთქვის ცენტრის დამბლის გამო), ძნელდება ნებითი მოძრაობები, რომლებიც ბოლოსდაბოლოს სრულიად შეუძლებელი ხდება, რასაც მოჰყვება ორგანიზმის ზოგადი დამბლის მოვლენები.

შხამიანი გველის ნაკბენის მკურნალობით მედიცინა უძველესი დროიდან იყო დაინტერესებული. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე თავის ტრაქტატებში მიუთითებდა მთელ რიგ სამკურნალო საშუალებებზე. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი დღეისთვისაც კი არ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს.

შხამიანი გველის ნაკბენის დროს პირველი დახმარების ძირითადი მიზანი ის არის, რომ შხამი ორგანიზმში არ გავრცელდეს. არ უნდა დაიკარგოს არცერთი წუთი, რადგან დაგვიანების შემთხვევაში შხამი ასწრებს ქსოვილებში ღრმად გავრცელებას, შეიწოვება სისხლში და მის წინააღმდეგ ბრძოლა რთულდება.

შხამიანი გველის ნაკბენის დროს ადამიანი უძველესი დროიდან იყენებს შხამის პირით ამოწოვის მეთოდს. აღნიშნულ მეთოდს დღესაც მიმართავენ. მისი გამოყენება თამამად შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საღია პირის ღრუს ლორწოვანი. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით დამხმარე საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ნაკბენი ადგილიდან შხამის ამოწოვა შეიძლება სპეცალური კოტოშის საშუალებითაც.

პირველ რიგში ავადმყოფი უნდა დავაწვინოთ და მივცეთ სითხე (კაკაო, ჩაი, წვენები, ლიმონათი, ყავა) დიდი რაოდენობით. თანამედროვე მედიცინა უარყოფს ლახტის დადებას, ნაკბენი ჭრილობის დაშანთვასა და დასერვას, რადგანაც, როგორც გამოირკვა, აღნიშნული მანიპულაციების შედეგად შეიძლება განვითარდეს შოკი, გარდა ამისა დაირღვევა ქსოვილების მთლიანობა და განვითარდება ნეკროზები (ქსოვილების სიკვდილი).

გადაუდებელი საექიმო დახმარება, რაც ადგილზევე უნდა გაეწიოს დაზარალებულს, ეს არის ორგანიზმში გველის შხამის საწინააღმდეგო შრატის შეყვანა, რის შემდეგაც ავადმყოფი სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ საავადმყოფოში.

თუ დროულად იქნება დაწყებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, გველის კბენის შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობის პროცენტი შეიძლება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

დოცენტი ო. ქორიძე

# რჩევა დიასახლისებს

## ნიგვზიანი შემწვარი ბადრიჯანი.

ერთი კილოგრამი ბადრიჯანი გარეცხეთ. თითოეული ბადრიჯანი გაჭერით სიგრძეზე 3-4 ნაწილად, მოაყარეთ მარილი, დაახურეთ თავსახური და გააჩერეთ ერთ საათს. შემდეგ გაწურეთ ხელით ისე, რომ ფორმა არ დაუკარგოთ და შეწვით მცენარეულ ზეთში.

ხუთი თავი ხახვი დაჭერით ალყა-ალყა, მოაყარეთ მარილი, პილპილი და ზეთში მოხრაკეთ.

ერთი-ერთნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი ორი კბილი ნიორი, წიწაკა და მარილი დანაყეთ, შეურიეთ დანაყილი ქინძის თესლი, პილპილი, სუნელი, დაფქვილი მიხაკ-დარიჩინი და გახსენით ბროწეულის წვენში ანდა ღვინის ძმარში, შემდეგ დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ერთი ჩაის ჭიქა ქინძი, ნახევარი ჩაის ჭიქა ნიახური, საკეპ მანქანაში გატარებული ერთი-ორი თავი ხახვი და აურიეთ. ამ საკაზმში ამოავლეთ შემწვარი ბადრიჯნის ნაჭრები, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელზე, დარჩენილი საკაზმი ზემოდან წაუსვით, შეუსწორეთ ზედაპირი, მოაყარეთ წინასწარ გამზადებული მოხრაკული ხახვი და ბროწეულის მარცვლები.

## ფენოვანი მწვანე ლობიო

კარგად მომწიფებული ერთი კილოგრამი დამტვრეული მწვანე ლობიო მოხარშეთ ორ ჩაის ჭიქა წყალში. მოხარშულ ლობიოს დაუმატეთ ერთნახევარი სუფრის კოვზი საჭმელი ზეთი, ერთი ჩაის ჭიქა წვრილად დაჭრილი მწვანილი (რეჰანი, ქონდარი, კამა, ოხრახუში, ქინძი) და მოშუშეთ.

800 გრამი მწიფე პამიდორი დაჭერით, მოხარშეთ და გადაიტანეთ თუშფალანგში.

წვრილად დაჭრილი ოთხი თავი ხახვი მოხრაკეთ ერთ სუფრის კოვზ საჭმელ ზეთში, დაასხით მომზადებული პამიდორი და ხარშეთ შესქელებამდე. შეაზავეთ დაჭრილი წიწაკით, ნივრით, ქინძით და მარილით.

მზა მწვანე ლობიოს ნახევარი მოათავსეთ ლანგარზე, შეუსწორეთ ზედაპირი, წაუსვით გამზადებული პამიდორის ნახევარი, დაადეთ ზედ ლობიოს მეორე ნახევარი, შეუსწორეთ ზედაპირი და წაუსვით დარჩენილი პამიდორი. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი.

ასეთივე წესით შეიძლება მომზადდეს დაკონსერვებული მწვანე ლობიოც.

## ყვავილოვანი კომბოსტოს მხალი

ხუთასი გრამი გარეცხილი ყვავილოვანი კომბოსტო მოხარშეთ მარილიან მდუღარე წყალში. შემდეგ შეაგრილეთ, ხელით გაწურეთ და დაჭერით.

ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ერთი ღერი ქინძი, ერთი კბილი ნიორი, წიწაკა და მარილი კარგად დანაყეთ, შეურიეთ წვრილად დაჭრილი სამი ძირი ქინძი, ღვინის ძმარი ან ბროწეულის წვენი, მარილთან ერთად დანაყილი ერთი საშუალო სიდიდის ხახვი და აურიეთ შიგ გამზადებული მოხარშული ყვავილოვანი კომბოსტო.

## მწვანე ლობიო საწებელში

ხუთასი გრამი მწვანე ლობიო მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით და გადაიტანეთ თუშფალანგში.

წვრილად დაჭრილი სამი თავი ხახვი მოშუშეთ ოცდაათ გრამ ცხიმში. ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ოთხი ღერი ქინძი, ორი კბილი ნიორი, წიწაკა და მარილი დანაყეთ, გახსენით ლობიოს ნახარშ წვენში (სამი ჩაის ჭიქა,) დაუმატეთ ღვინის ძმარი გემოვნებით, დაფქული მიხაკ-დარიჩინი, ჩაასხით მოშუშულ ხახვში და ხარშეთ ათი წუთი. შემდეგ შეურიეთ წინასწარ მოხარშული ლობიო, ადუღეთ სამი წუთი და გადმოიღეთ შესაფერ ჭურჭელში. თუ გსურთ მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

ასეთი წესით შეიძლება მომზადდეს დაკონსერვებული ლობიოც.

# ჭრელ-ჭრელი

### თავის სტიქიაში

ნიუ-იორკის სასამართლოს წინაშე წარსდგა ქალაქ ვეიენფილდის (მასაჩუსეტსის შტატი) ბანკის ყოფილი გენერალური დირექტორი დანიელ მური. მას ბრალი ედებოდა რვა ბანკის გაძარცვასა და თითქმის ათი მილიონი დოლარის გატაცებაში. ამერიკის კანონების თანახმად მურს უნდა მიესაჯოს 240 წლის პატიმრობა.

### ორმაგი ჰონორარის დევნაში

ფრანგი ოსკარ დიარინი (რუანიდან) რომანებს წერდა სისხლის სამართლის თემებზე. როგორც შემდეგ გამოირკვა, ფაქტებს და მოვლენებს, რომელსაც ოსკარი ასე ხატოვანად აღწერდა, კი არ იგონებდა, არამედ საკუთარი პრაქტიკიდან სესხულობდა. თავისი უკანასკნელი რომანი მან მიუძღვნა იმ ბანკის გაძარცვას, რომელშიც თვითონ იღებდა მონაწილეობას. ამ საქმიდან მას 120 ათასი ფრანკი ერგო. როდესაც პარიზის გამომცემლობამ დიარინისაგან მიიღო რომანის ხელნაწერი, იგი უკვე პოლიციის ხელში იყო.

### საგა ხვრინვაზე

კელნელი გეინც ბაუერის ცხოვრება აუტანელი გახდა, ძილის დროს საოცრად ხმამაღალი ხვრინვის გამო. ჯერ ცოლმა მიატოვა, შემდეგ ბაუერი იძულებული გახდა რამოდენიმე ბინა გამოეცვალა, რადგან მის ხვრინვას მოთმინებიდან გამოჰყავდა მეზობლები. ბოლოს მან გადასწყვიტა ღამე ეზოში მდგომ მანქანაში გაეთია, მაგრამ არც ამან უშველა; იმავე მეზობლების საჩივრის საფუძველზე, არაერთხელ წაიყვანეს იგი პოლიციის უბანში. მხოლოდ იქ ეღირსა ბაუერს მოსვენება — უკვე აღარავის უშლიდა ხელს, რადგანაც კამერის სქელი კედლები არ ატარებდა მისი დევგმირული ხვრინვის ხმას.

### დამნაშავეა ტელევიზორი

42 წლის ამერიკელი ჯერალდ ბიშოპი ისე აღელდა, როდესაც მისმა საყვარელმა ბეისბოლელთა გუნდმა მატჩი წააგო, რომ ტელევიზორს, რის საშუალებითაც იგი თამაშს უყურებდა, შაშხანიდან 17 ტყვია მიაყარა, დაზიანდა არამარტო ტელევიზორი, არამედ მეზობელი სახლის კედლებიც. შემთხვევის ადგილზე მოსულ პოლიციელს ბიშოპმა განუცხადა: „განა თქვენ არასდროს არ მოგსურვებიათ ტყვია დაგეშინათ საკუთარი ტელევიზორისათვის?".

### დაითვალეს — აცრემლდნენ...

„ჰოლანდიის საჩუქარი ისრაელს" — ამ ლოზუნგით ნიდერლანდებში ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა ხმაურიანი კამპანია „ვერცხლის იუბილარისათვის" — ისრაელის სახელმწიფოსათვის სახსრების შესაგროვებლად. კამპანიის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ სამ მილიონ გულდენზე ნაკლებს არ შეაგროვებდნენ, მაგრამ ამ თანხის მხოლოდ მეათედი შეგროვდა. კამპანიის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, განმარტა რა ამ ჩავარდნის მიზეზი, გულმოკლულად აღიარა: „მე მექმნება შთაბეჭდილება, რომ ისრაელი ჰოლანდიელებს შორის სწრაფად კარგავს სიმპათიებს".



### ძაღლური პროფესია

ნიუ-იორკის მცხოვრებმა რობერტ არეიმ დაარსა ფირმა — დოგს უოკერს ანლიმიტედი. იგი ამ ფირმის მფლობელი და ერთადერთი მუშაკია. ფირმა კისრულობს „ძაღლების გასეირნებას განუსაზღვრელი პასუხისმგებლობით". არეი მათ დარაჯობს, გამოყავს სასეირნოდ, ზრუნავს მათ ტუალეტზე ან იმაზე, რომ ისინი არ იყვნენ მარტონი შაბათიდან ორშაბათამდე, როდესაც მათი პატრონები ქალაქგარეთ მიემგზავრებიან. 5 სამუშაო დღის განმავლობაში ძაღლების ერთსაათიანი გასეირნებისათვის არეი 15 დოლარს იღებს, ხოლო შაბათ და კვირას — 30 დოლარს.



### მემკვიდრეობა და ბიზნესი

ნიუ-იორკის მცხოვრებმა დუგლას სტიუარტ მაკელვიმ, მიიღო რა დიდი მემკვიდრეობა, მთელი თავისი სიცოცხლე რესტორნებსა და ბარებში გაატარა. ამას წინათ, იმ ქვეყნად გამგზავრების წინ, დატოვა ანდერძი, რომელმაც განაცვიფრა მისი ნათესავები. მან თავისი ქონების უდიდესი ნაწილი უანდერძა თავის ყველაზე საყვარელ... ბარებს, ოღონდ შენიშვნით, — რომ მათმა მფლობელებმა ნაანდერძევი ფულით უნდა მოაწყონ ხოლმე უფასო ღრეობები. „გრეგორიზ კორნერ" ბარის მფლობელმა უკვე მოიფიქრა, თუ როგორ უნდა მიიღოს მოგება ამ ანდერძის საფუძველზე და განაცხადა, რომ პერიოდულად მოაწყობს უფასო ღრეობას, მხოლოდ თავისი მუდმივი კლიენტებისათვის. მან სტუმართა სარეგისტრაციო დავთარიც კი შემოიღო. მისი საწარმოს კლიენტთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა.

**„ნოვოე ვრემია"**

---

**გარეკანის პირველ გვერდზე — გალაკტიონ ტაბიძე, მეოთხე გვერდზე — ნიკორწმინდა.**


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.**

**ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი**

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების — 99-50-39. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 13/VIII-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX-1973 წ. ქაღალდის ზომა 60X90¹/₈ ფიზი კური ნაბეჭდი ფურცელი 3, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 125.600. შეკვ. 2711 უე 01943 ფასი 30 კაპ.

# შეიკერეთ თქვენ თვითონ






ნახაზზე მოცემულია ქალის 50 ზომის ქვედა კაბის თარგი. ამ თარგიდან, მივიღებთ სხვადასხვა ფორმის ქვედა კაბას.

პირველ შემთხვევაში ქვედა კაბა, რომლის წინა კალთა თრნაჭრიანია, გვერდებში გაგანიერებულია. ქსოვილი აჭრილია ირიბად.

მეორე შემთხვევაში ქვედა კაბას წინ ნაკეცი აქვს. ნაკეცის ხაზზე ორი სალტე ღილებით.

მესამე შემთხვევაში ქვედა კაბა სწორია. იგი შეიძლება ერთფერი, ანდა ზოლიანი ქსოვილისაგან შეიკეროს. კაბას ზემოდან დაკერებული ჯიბეები აქვს.


ბეჭა ნანუკაშვილი.

საქართველოს მოდელების სახლის მთავარი მხატვარი-მოდელიორი.

6 61/176

ИНДЕКС 76178

